„მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ, დაველოდოთ ყრილობას“

ალიონი. დღეს, დაბა ურეკში, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ რაიონული კონფერენცია გაიმართება. თუ ვინ გახდება პარტიის თავმჯდომარე, როგორ აფასებს ოზურგეთში მიმდინარე პროცესებს შესახებ კომენტარი გურიის გუბერნატორს, „ქართული ოცნების“ ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს **მერაბ ჭანუყვაძეს** ვთხოვეთ:

— ვიხილავთ თუ არა მერაბ ჭანუყვაძეს „ქართული ოცნების“ პარტიის თავმჯდომარის პოსტზე?

— პარტიის თავმჯდომარეობა ჩემთვის უდიდესი პასუხისმგებლობაა და თუკი ამირჩევენ ამავდროულად დიდი გამოწვევაც იქნება. 23 აპრილს, დაბა ურეკის კულტურის სახლი, „ქართული ოცნების" ოზურგეთის რაიონულ კონფერენციას უმასპინძლებს. იქ გაირკვევა თუ ვინ იქნება „ქართული ოცნების“ ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის პოსტზე წარდგენილი. მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ, დაველოდოთ ყრილობას და ვნახავთ რა გადაწყვეტილება მიიღება.

— ზოგადად, როგორც გუბერნატორი, თქვენ როგორ მიგაჩნიათ მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესები? მართალია არ ერევით, მაგრამ შეფასებები თქვენი მხრიდან როგორია? იქნება თუ არა სამოქალაქო სიმშვიდე ოზურგეთში თუ საჯარო სამსახურიდან გათავისუფლებები და სასამართლოები.

— თვითმმართველობის საქმიანობაში ნამდვილად არ ვერევი და შესაბამისად, არც საკადრო საკითხებთან დაკავშირებით არ ვიღებ რაიმე სახის გადაწყვეტილებებს. გეტყვით, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია თვითმმართველობის გაძლიერება და არა პროცესებში ჩარევა.

კომპანია NOVA-ს ოზურგეთული ბრენდი მაღაზია „ლიზი-2“ გთავაზობთ:

– ხის პანელებს კედლისა და ჭერისათვის;
– სხვადასხვა სახისა და ზომის სახურავებს;
– ეკოლოგიურად უვნებელ საღებავებსა და წებოებს;
– სანტექნიკისათვის გათვალისწინებულ ყველა სახის მაღალხარისხოვან მასალას;
– ელექტროტექნიკასა და მოწყობილობებს, საცხოვრებელი ბინებისა თუ ოფისების ელექტრეფიცირებისათვის საჭირო მასალებსა და სხვა.

ფასები – ხელსაყრელი, მომსახურება – უნივერსალური.
მაღაზია „ლიზი-2“ – თქვენი საიმედო პარტნიორი!!!

ქ. ოზურგეთი, თაყაიშვილის ქ. №10

(რ)

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 16 (10261) 23 აპრილი, 2018 წ. ფასი 60 თეთრი.

„ჩვენ ყოველთვის ვმოქმედებთ მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე“

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესები და მწვავე დაპირისპირებები საზოგადოების მაღალ ინტერესს იწვევს. გთავაზობთ ინტერვიუს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე **გელა აროშიძესთან:**

— საზოგადოებაში საუბრობენ საკრებულოსა და მერს შორის უთანხმოებაზე, შესაძლო იმპიჩმენტზე საკრებულოს მხრიდან.

—„ქართული ოცნება“ საზოგადოების მაღალი ნდობით უმრავლესობითაა წარმოდგენილი საკრებულოში. ჩვენ ყოველთვის ვმოქმედებთ მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე და კანონის სრული დაცვით.

ოზურგეთი არჩევნების შემდეგ ახალი გამოწვევების წინაშე დგას. საზოგადოებას სჭირდება მეტი გაკეთებული პროექტი, შესრულებული ვალდებულებები და სწორედ მსგავს თემებზე უნდა ვიყოთ ორიენტირებულნი.

ჩვენ მნიშვნელოვან საკითხზე გვაქვს პრინციპული პოზიცია, არის საკითხები, რომლებზედაც აზრთა სახდასხვაობაა ჩვენსა და აღმასრულ-

გვ-2

აბსურდის თეატრის სპექტაკლი თუ მიზანმიმართული დევნა

ალიონი. გასულ ხუთშაბათს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურმა, ამავე მუნიციპალიტეტის სოციალურ საკითხთა და ჯანდაცვის სამსახურის უფროსის თამარ დუმბაძის საქმეზე ზეპირი მოსმენა გამართა.

კარგა ხანია ოზურგეთს არ ახსოვს ასე ერთ გუნდად შეკრებული საზოგადოება, რომლებიც ქალბატონ თამარს უჭერდნენ მხარს. მოსმენას ეწრებოდნენ საკრებულოს დეპუტატები „ქართული ოცნებიდან,“ „ნაციონალური მოძრაობიდან“, მედიისა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები. რაოდენ გასაკვირვიც არ უნდა იყოს, მოსმენას არ დაესწრნენ მუნიციპალიტეტის იმ სამსახურების ხელმძღვანელები და სპეციალისტები, რომლებიც პირდაპირ არიან დაკავშირებული სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მუშაობასთან. ამიტომაც იკითხა თვითმმართველობის გენდერული სამსახურის უფროსმა **ლელა ნაცვალაძემ:** —სოციალურ სამსახურს მხოლოდ 2 თანამშრომელი ჰყავს?

ზეპირი მოსმენის საფუძველი გახდა მუნიციპალიტეტის მერიის საქმისწარმოების განყოფილებიდან გამოთხოვილი მონაცემები, რომლის მიხედვით, 2018 წლის 1 იანვრიდან 1 აპრილამდე სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახურში შესული წერილებიდან ვადაგადაცილებით შესრულებული 703, ხოლო შეუსრულია 180 წერილი. საინტერესო სტატისტიკა დასახელდა მოსმენაზე, აუდიტის სამსახურის თავდაპირველი შეტყობინებით, სამსახურში შემოსული 1444 წერილიდან, ვადაგადაცილებით შესრულებულად ჩათვლილია 839 წერილი, ვადაგადაცილებული ან პასუხგაუცემელია 214 წერილი. სოციალური სამსახურის ახსნა-განმარტებით წერილის მონაცემებით, სამსახურში შემოსულია 3000-მდე წერილი და კორესპონდენცია. რაც მოკვლევის ირგვლივ, თავისთავად ბევრ კითხვას ბადებს.

შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსმა კობა ხაბალაშვილმა განაცხადა, რომ იმართებოდა ვადაგადაცილებულ და პასუხგაუცემელ წერილებთან დაკავშირებით ზეპირი მოსმენა, კონკრეტულად კი 2018 წლის 1 იანვრიდან 1 აპრილამდე შემოსულ 880 წერილთან დაკავშირებით.

კობა ხაბალაშვილი: —„ადამიანურად გეუბნებით, შიდა აუდიტს სამსახურს ვადაგადაცილებულ თუ პასუხგაუცემელ წერილებთან დაკავშირებით ამ ეტაპზე არანაირი გადაწყვეტილება არ მიუღია, და არ გვიმსჯელია, რომ თუ რა სახის გადაწყვეტილება შევუფარდოთ ქალბატონ თამარს.

კარგი იქნებოდა, თუკი იმ შეტყობინების მიხედვით, რაც ქალბატონ თამარს გაეგზავნა,

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

„ჩვენ ყოველთვის ვმოქმედებთ მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე“

ებელ ორგანოს შორის, თუნდაც ეს იყოს მუნიციპალიტეტში განხორციელებული მობილობის პროცესი. ერთობლივად ჩამოვყალიბდით ბიუჯეტთან დაკავშირებით, ეს სამუშაო პროცესია. ვფიქრობ, საზოგადოებისთვის საინტერესო სწორედ მსგავსი საკითხებია და არა აჟიოტაჟი იმპიჩმეტთან დაკავშირებით, მითუმეტეს, რომ ამ ეტაპზე მსგავსი საკითხი გუნდში არც განხილულა.

– გამორიცხავთ იმპიჩმეტს? დაუჭერთ მხარს?

–ვიმეორებ, საკითხი რომლიც გუნდში აქტუალური არ არის, ვფიქრობ არც საჭიროებს მეტ კომენტარს.

–პარტიის რაიონული ორგანიზაციის კონფერენცია იგეგმება, დავით დარჩიას მერაბ ჭანუყვაძე ცვლის. რას იტყვით?

– დავით დარჩია თავისი ინიციატივით გადადგა პარტიის თავმჯდომარეობიდან. ის რამდენიმე წლის განმავლობაში იკავებდა ამ პოზიციას და ვფიქრობ, რომ წარმატებულად. თუმცა მისივე ინიციატივითა და პარტიის ხედვით საჭიროა განახლება, რაც ბუნებრივი პროცესია. მერაბ ჭანუყვაძე ის კადრია, რომელსაც ოზურგეთელები კარგად იცნობს, ის იყო მუნიციპალიტეტის გამგებელი,ახლა გუბერნატორია, აქვს დიდი გამოცდილება და ოზურგეთელთა ნდობა. მიმაჩნია, რომ „ქართული ოცნება“ პარტიის თავმჯდომარედ მისი არჩევით სწორ განაცხადს გააკეთებს.

სახლში ფაროსანას საწინააღმდეგო შეწამვლის შემდეგ მამაკაცი გარდაიცვალა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედში 50 წლამდე ასაკის მამაკაცი მწვავე ინტოქსიკაციით გარდაიცვალა. ახლობლები ამბობენ, რომ მამაკაცი შეუძლოდ მას შემდეგ გახდა, რაც საკუთარი სახლის სხვენში ფაროსანასა და სხვა მწერების საწინააღმდეგო შეწამვლითი სამუშაოები დაასრულა.

„პაციენტი სასწრაფომ ჩვენთან გადმოიყვანა მძიმე, ტერმინალურ მდგომარეობაში. მაშინვე მართვით სუნთქვაზე გადავიყვანეთ, მაგრამ ვერ გადავარჩინეთ, პაციენტს გული გაუჩერდა. ძლიერი ინტოქსიკაციით იყო შემოყვანილი" – განაცხადა ოზურგეთის სამედიცინო ცენტრის დირექტორმა დავით მდინარაძემ.

„წნევა -პულსი არ ისინჯებოდა. გადაყვანილი იქნა მართვით სუნთქვაზე და მართვით სუნთქვაზე გადაყვანისთანავე დაფიქსირდა გულის გაჩერება. სახლის სხვენში მწერი რომ არის ფაროსანა იმის საწინააღმდეგო ფხვნილიდან გაკეთებულ ხსნარს ხმარობდა,“-განაცხადა ტოქსიკოლოგმა.

სურსათის ეროვნულ სააგენტოში კი ამბობენ, რომ პრეპარატი რომლითაც მამაკაცმა სახლი დაამუშავა მათ მიერ გაცემული არ იყო. უწყებაში ამბობენ, რომ პრეპარატს აქვს თავისი გამოყენების წესებიც , რომლის შესახებაც მომხმარებელს მიეწოდება ინფორმაცია და სწორედ გამოყენების შემთხვევაში ის ტოქსიკური არ არის.

„ჩვენი პრეპარატების გამოყენება იწვევს მსუბუქ ინტოქსიკაციას და არა ლეტალურ შემთხვევას.. ასეთი შემთხვევა საქართველოში არ დაფიქსირებულა არსად, რომ პესტიციდების გამოყენებით ადამიანი გარდაცვლილიყოს თუ არ იქნა კონცენტრირებული პრეპარატი მიღებული დალევის გზით,“-განაცხადა სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე ზურაბ ლიპარტიამ.

სასტუმრო "გურიას" რეაბილიტაცია განახლდა

სასტუმრო „გურიას“ რეაბილიტაცია აქტიურ ფაზაში შედის. სამუშაო პროცესს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე სასტუმროს მფლობელთან, კომპანია „გურია პალასის" ხელმძღვანელთან, ბიზნესმენ ზურაბ ჩხაიძესთან და მშენებარე კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო. სასტუმრო „გურია პალასი“ – (ყოფილი სასტუმრო „გურიას“ შენობა) თავისი კონფიგურაციით რთულია და რელიეფიდან გამომდინარე სართულიანობა სხვადასხვაა. რეკონსტრუქცია გულისხმობს ნაწილობრივ პროფილის შენარჩუნებას და სხვადასხვა ფუნქციური სივრცეების დამატებას. სასტუმროში სულ 47 ნომერი იქნება, (აქედან 3 ლუქსი) რომლის მეორე სართულზე კვების ბლოკი და დამხმარე სათავსოები განთავსდება. მესამე სართულზე გარდა ნომრებისა, საკონფერენციო დარბაზი მოეწყობა. სასტუმრო სულ 2 204 კვ.მ.- ს იკავებს. შიდა ეზოში დამატებით განთავსდება კიბის უჯრედი პანორამული ლიფტით, რომლის საშუალებით მოვხვდებით მე-2 სართულის საოფისე ფართებში და მე-4 სართულზე განთავსებულ კაფე-ბარში. მშენებლობა მიმდინარე წელს უნდა დასრულდეს.

უცხოელი ინვესტორი გურიაში ჩაის გადამამუშავებელი საწარმოს აშენებას გეგმავს

ინვესტორი კალიფორნიის შტატიდან გურიაში ჩაის გადამამუშავებელი საწარმოს აშენების შესაძლებლობას განიხილავს და ამ მიზნით სხვადასხვა შეხვედრას მართავს.

დღეს, სს ინვესტიციების მართვის ქართული კომპანიის დირექტორი მინგ შან ჭუანგი, გურიის გუბერნატორს მერაბ ჭანუყვაძეს შეხვდა.

„ვართ დაინტერესებული ჩაის საწარმოს აშენებით და წარმოებული პროდუქციის ექსპორტით. ვგეგმავთ ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და საწარმოსთვის საჭირო დანადგარების შემოტანას. საწყის ეტაპზე ინვესტიციის ოდენობა დაახლოებით 1 მილიონ დოლარს შეადგენს. გუბერნატორთან შეხვედრაზე შევთანხმდით ურთიერთთანამშრომლობაზე და ვისაუბრეთ რეგიონში განსახორციელებელ პროექტებზე“ – განაცხადა ინვესტორმა.

როგორც შეხვედრაზე მერაბ ჭანუყვაძემ აღნიშნა, ის მზად არის ნებისმიერ ინვესტორს გვერდით დაუდგეს, რათა რეგიონში განხორციელდეს, რაც შეიძლება მეტი ინვესტიცია და შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები.

ტრაგედია სოფელ ბაილეთში

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა ოზურგეთი-ბაილეთის დამაკავშირებელ გზაზე. ავტომანქანაში, რომელიც გზიდან გადავარდა, დედა და მისი ხუთი შვილი იმყოფებოდნენ. ოჯახი ბაილეთიდან საკუთარ საცხოვრებელ სახლში, ახალსოფელში ბრუნდებოდა.

ავტოავარიის შედეგად, 13 წლის გოგონა გარდაიცვალა, ხუთი დაშავებული კი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ოზურგეთის სამედიცინო ცენტრში გადაიყვანა. უმძიმეს მდგომარეობაშია კიდევ ორი არასრულწლოვანი ბავშვი, რომლებიც რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს.

საჭესთან უფროსი შვილი ე. ჩ. იჯდა.

თვითმხილველთა თქმით, შემთხვევის ადგილზე "ოპელის" მარკის ავტომანქანამ მაშინ გამოიარა, როცა გზაზე ქალბატონი გადადიოდა, რომელსაც ეტლში ბავშვი ჰყავდა.

მძღოლმა ფეხით მოსიარულეებს მანქანა ააცილა, თუმცა საჭე ვეღარ დაიმორჩილა და გზიდან სამ მეტრში გადავარდა.

დისკუსია რეგიონში ტურიზმის განვითარებისათვის

სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის ორგანიზებით, ოზურგეთში, პროფესიულ კოლეჯ ჰორიზონტში, დისკუსია გაიმართა თემაზე - გურიის რეგიონში ტურიზმის მდგრადი განვითარება, ინტეგრირებული მიდგომები. სატრენინგო პროგრამა საჭირო უნარების შესაძენად, ნიდერლანდების სამეფოს სტიპენდიებსა და ტრენინგების პროგრამის (**NFP**) დაფინანსებით განხორციელდა.

შეხვედრის მონაწილეებს მიესალმა და ტურიზმის მნიშვნელობაზე ისაუბრა, გურიის გუბერნატორი მერაბ ჭანუყვაძემ.

აბსურდის თეატრის სპექტაკლი თუ მიზანმიმართული დევნა

მისი პასუხი იყოს მოტივირებული, რომ იგი გაითვალისწინოს შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურმა საბოლოო დასკვნის დაწერის დროს, რა როგორ ავსახოთ ".

შემდეგ სიტყვა **თამარ დუმბაძეს** მიეცა: –ვფიქრობ დღევანდელი დღე ცოტათი აბსურდის თეატრს ჰგავს. მე მგონი ამ ყველაფრის რეჟისორი ბატონი კობაა. მინდა გითხრათ, რომ სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახურში შემოსულ ვერც ერთ ბენეფიციარს ვერ ნახავთ, რომ რაიმე პრობლემა ჰქონოდათ ჩვენს სამსახურთან, მაგრამ აუდიტის სამსახურის დასკვნის საშუალებით ჩემი სამსახურიდან გათავისუფლება დაკვეთილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, რომელმაც მან რამდენჯერმე დამიბარა კაბინეტში და კატეგორიულად მომთხოვა განხადების დაწერა სამსახურიდან გათავისუფლების მოთხოვნით. თუმცა თამარ დუმბაძე ამბობს, რომ იგი ზეწოლას არ დაემორჩილება.

–ვერ წარმოიდგენთ, როგორ დღეში ვარ, როგორ სტრესულ სიტუაციაში ვმუშაობთ. ზეწოლა, ცალკე მუქარა, აქეთ აუდიტის შემოტევები. ამ დროს ჩვენთან უამრავი მოქალაქე მოდის, რომლებსაც უნდა მოვუსმინოთ და გავცეთ პასუხი. ასეთ რეჟიმში მუშაობა წარმოუდგენელია – განაცხადა **თამარ დუმბაძემ.**

– მოქალაქეთა განცხადებები, რომელზეც პასუხების დაგვიანებას თამარ დუმბაძეს დარღვევად უთვლიან, სინამდვილეში თვით ამ განცხადებების შემომტანთა თხოვნით ან არასრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის გამო დაგვიანდა. ვთქვათ, მოქალაქეს სურდა არა 70 ლარის ღირებულების დახმარების გაწევა, რის საშუალებაც იმ ეტაპზე იყო ბიუჯეტით გათვალისწინებული. არამედ 100 ლარისა, რაც დადგენილებაში ცვლილების შეტანის შემდეგ იყო გათვალისწინებული . ასეთი, და მსგავსი წერილებია მოგროვებული ბრალის დასადებად, რაც ვერანაირად ვერ ჩაითვლება მძიმე გადაცდომად, როგორც ამას აუდიტი მიიჩნევს,– თქვა სოციალური სამსახურის უმცროსმა სპეციალისტმა **ნინო ნიკოლაიშვილმა.**

მისსავე კითხვაზე, - აქვს თუ არა სრულად შესწავლილი აუდიტის სამსახურის უფროსს განცხადებები, რაც შესაძლოა მძიმე გადაცდომის საფუძვლად ჩაითვალოს, - **ხაბალაშვილი** პასუხობს, რომ მას ეს განცხადებები შესწავლილი არ აქვს.(?!)

–„შენ კოტეს მარიონეტი ხარ. თამარს ჰქონდა მარტო დარღვევები? თამარი ვერ აკეთებდა თავის საქმეს? ეს სიძისათვის გადახდილი 30 ათასი ლარი, ეს მონადირეებისათვის ჩარიცხული თანხა, ბენზინის ფონდი, დიზელის საწვავი – ამას რატომ ვერ ხედავთ და არ რეაგირებთ? გამეცით პასუხი ამაზე. რატომ დადის შეხვედრებზე სოციალური სამსახურის განყოფილების უფროსი ნათია ვაშალომიძე, რატომ არ ეძახიან დუმბაძეს? არ იცი, რომ იგი თამარ დუმბაძის ადგილის დასაკავებლად ემზადება? ისე შენს ადგილს ვასიკო გობრონიძე უმიზნებს, იმასაც შარვალ-კოსტუმი უკვე ნაყიდი აქვს, არ იცი?"– მიმართა ქალაქის ბაღების გაერთიანების ყოფილმა უფროსმა **ეკა ნინიძემ** კობა ხაბალაშვილს.

– „მე მთელი ცხოვრება ისე ვიმუშავე, არავის მარიონეტი არ ვყოფილვარ. როცა სხვები სკამებს ათბობდნენ, იმ დროს მე იარაღი მეჭირა ხელში და ვიბრძოდი"- უპასუხა **კობა ხაბალაშვილმა.**

–ჩვენ ახლა ვხედავთ, რომ ამ დარბაზში იდგმება „ფონიას" და „გარაჟის" სცენები. ბატონმა მერმა, რაც შეაღო კაბინეტის კარები, მას შემდეგ დაიწყო თამარის გათავისუფლებაზე ლაპარაკი. თქვენც იყავით მაგ სიაში ბატონო კობა და კიდევ ხართ საფრთხეში. ვიცე-მერმა ხომ აგიხსნათ თქვენ ქალბატონო თამარ, რატომ ვერ გიტანთ მერი? დღეს ქალბატონი თამარის დაკითხვა მიმდინარეობს ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ. ეს სხდომა არის წინაპირობა, რომ დაიდოს დასკვნა, რომ თამარ დუმბაძე არის მძიმე დანმაშავე. შემდეგი შენ ახვალ გილიოტინაზე კობა–განაცხადა ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წინა მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ნინო გოგუაძემ.**

დარბაზში მსხდომმა სხვა დეპუატაებმაც ითხოვეს სიტყვა:

მარიკა ჩხიკვიშვილი, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე: –ბატონო კობა, წინა წლებშიც ხომ მუშაობდით აუდიტის სამსახურის უფროსად? მაშინ რატომ არ გქონდათ მსგავსი პრეტენზიები? გაქვთ თუ არა თუნდაც ერთი განცხადება, რომელშიც სოციალურ სამსახურს უჩივიან?

კობა ხაბალაშვილი: –მაშინ ვერ მოხდებოდა მერიის სამსახურების მუშაობის შესწავლა, რადგან ძირითადად არასამეწარმეო საქმეების შესწავლაზე ვიყავით ორიენტირებულნი.

ლელა საჯაია, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე: –დღეს თითოეული ჩვენგანი ვართ ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ. იმ დროს როდესაც მძიმე დანაშაული უამრავია მუნიციპალიტეტში, ამ დროს სოციალური სამსახურის უფროსს უპირებენ მძიმე იარლიყით სამსახურიდან გაშვებას;

თორნიკე გოგუაძე,–დეპუტატი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა": –თამარ დუმბაძე გამორჩეული და წარმატებული ხელმძღვანელია. ნამდვილად წარმოუდგენელია მას ბრალი დასდონ მძიმე გადაცდომაში. მიზეზი თუ გინდა, ადამიანისათვის შარის მოდება ადვილია. ჩვენ წავალთ, მოვიყვანთ იმ ბენეფიციარების არმიას, რომლებსაც თამარ დუმბაძე მოემსახურა;

ლავრენტი ბიგვავა, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე: –რაც აქ ჩვენ მოვისმინეთ, ეს არ არის არგუმენტები, რაც საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებას გამოიწვევს. თუ ასეთი რამ ხდება მუნიციპალიტეტში, იგი ყველა სამსახურს ეხება;

თამარ დუმბაძისადმი მხარდაჭერა გამოხატეს საკრებულოს დეპუტატებმა: **ლალი სიჭინავამ, გენო ჩავლეიშვილმა, გიორგი თოიძემ, ბესო ქათამაძემ; შალვა თავდიშვილმა** სამუზეუმო-საბიბლიოთეკო სამსახურის ყოფილმა უფროსმა **რუსუდან მემარნიშვილმა, ნია მექვაბიშვილმა** და სხვებმა.

– დიდი ხანია ასეთი შეკრული საზოგადოება არ მონახავს. კეთილსინდისიერი ადამიანები არ უნდა დაიჩაგრონ. პრინციპები არ უნდა დავივიწყოთ. კობა, ნუ აჰყვები ამ ბინძურ თამაშებს, შენ კარგად იცი, რომ კოტეს წყალი ჩავლილია და ორ თვეში ყველაფერი დასრულდება - ასე მიმართა „ქართული ოცნების" ერთერთმა დამფუძნებელმა **ნუგზარ გიორგაძე**მ კობა ხაბალაშვილს....

– თუ რა ხდება ამ სამსახურში აქაა წარმოდგენილი –პოლემიკაში ჩაერთო სხდომის მდივანი **თამარ კილურაძე.**

მარიკა ჩხიკვიშვილი: –მერე წარმოგვიდგინე..

–კობა ხაბალაშვილი: კანონის მიხედვით, შემოსულ განცხადებას 15 დღეში უნდა გაეცეს პასუხი. ეს კანონი არც თქვენ და არც მე მე არ დამიწერია. ჩვენ ვალდებულნი ვართ, მივყვეთ ამ

კანონს. მე ვამბობ, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ეს კანონი დარღვეულია და თქვენი არგუმენტირებული პასუხი გვინდა ამასთან დაკავშირებით. როცა ქალბატონი თამარი ამბობს, რომ ზოგ წერილს პასუხი იმის გამო ვერ გავეცით, რომ ეს ბენეფიციარების თხოვნა იყო, ჩვენ ეს მსუბუქ დარღვევად ჩავთვალეთ.

ადვოკატი **ემზარ ურუშაძე:** –დროის სიმცირის გამო, ჩვენ ვერ შევძელით ყველა განცხადება გადაგვემოწმებინა. ჩვენ შევძელით 200-მდე განცხადების გადამოწმება, თუ რაზე ედავებიან ქალბატონ თამარს. მას ედავებიან შეშის გამოყოფასთან დაკავშირებით, რაც არ შედის მის სამსახურებრივ მოვალეობაში. ასეთია 21 განცხადება. თუ მომეცემა საშუალება, მივყვებით თანმიმდევრობით. თუმცა დარბაზში გაძლიერებული ხმაურიანი განცხადებების გამო, ადვოკატმა ვერ დაასრულა შესაბამისი განმარტებები.

თუ რა დასკვნას დადებს აუდიტი, გახდება თუ არა დასკვნა თამარ დუმბაძის სამსახურიდან შესაძლო გათავისუფლების მიზეზი, ეს რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

* * *

ზეპირ მოსმენას გაზეთი „ალიონიც" ესწრებოდა. ჩვენ მას შემდეგ დავსვით კითხვა, როცა ხაბალაშვილმა თქვა, რომ აუდიტის მასალების გამხელა კანონით დასჯადია, - თუ როგორ მოხდა მედიასაშუალებებში აუდიტის არ დაწერილი დასკვნის ნაწილი, რომლის მიხედვით მუნიციპალიტეტის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახურის საქმე, დასკვნის დადების შემდეგ, სამართალდამცავთა მიერ შესაძლო მოკვლევის საფუძველი გახდეს.

კობა ხაბალაშვილმა განმარტა, რომ შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურიდან არავითარი ინფორმაცია არ გასულა. შესაძლოა ბევრი რამ იცოდეს, მაგრამ ყველაფერს ვერ იტყვის.

* * *

გაზეთი „ალიონი" მუნიციპალიტეტის მერის კომენტარისათვის თამარ დუმბაძეზე ზეწოლასთან დაკავშირებით პრესსამსახურის უფროსს **ეკა მგელაძეს** დაუკავშირდა. მგელაძემ მერის შემდეგი პასუხი გადმოგვიგზავნა: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის აუდიტის სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტში ხდება სხვადასხვა სამსახურის საქმიანობის შესწავლა და ძირითადი ნაკლოვანებების იდენტიფიცირება - შეფასება. აუდიტის საქმიანობაში არ ვერევი"–ასეთი კომენტარი გააკეთა მუნიციპალიტეტის მერმა **კონსტანტინე შარაშენიძემ.**

მაჟორიტარები

თამაზ ბურჭულაძე - სოფელი შემოქმედი

შემოქმედის თემის მაჟორიტარი დეპუტატი თამაზ ბურჭულაძეა. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მან პირველად მიიღო მონაწილეობა და საკრებულოს წევრობის მნადატი - 740 (52.48%) ხმით მოიპოვა.

„ჩემი სოფლის სიყვარულმა, თითოეული შემოქმედელის მიმართ პატივისცემამ, სურვილმა მეკეთებინა საქმე. სოფლის საკეთიდღეოდ მიმაღებინა გადაწყვეტილება ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის. სოფელი შემოქმედი გამორჩეულია თაისი სილამაზით, ისტორიული მნიშვნელობით, რაც კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას მაკისრებს, ღირსეულად ვატარო თანასოფლელების მიერ მონიჭებული ნდობის მანდატი.

მე, როგორც საკრებულოს წევრი, აქტიურად ვარ ჩართული წარმომადგენლობითი ორგანოს მუშაობაში, ჩემი მთავარი ფუნქცია შემოქმედლების ინტერესების დაცვა, მათი პრობლემების გახმოვანება და პრობლემათა გადაჭრის გზების ძიებაა. თუმცა, როდესაც სოფელზე საუბრობ ნამდვილად უნდა აღინიშნოს ყველა ის პროექტი, რომლიც გასული 4 წლის განმავლობაში სოფელში განხორციელდა. საბედნიეროდ, ჩამონათვალი არც ისე მწირია და სწორედ ქართული ოცნების ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან სოფელში არაერთი მნიშნელოვანი ინფრსატრუქტურული პროექტი დაიწყო, დღესაც მიმდინარეობს. გამოვყოფ რამდენიმე მათგანს: რეგიონალური განვითარების ფონდის მეშვეობით, განხორციელდა ოზურგეთი-შემოქმედი-გომისმთის და დვაბზუ-ცხემლისხიდი-ვაკიჯვრის შემაერთებელი საავტომობილო გზის მშენებლობა, დასრულდა შემოქმედის ადმინისტრაციულ ერთეულში მდ. ბჟუჟის გასწორხაზოვნების მასშტაბური სამუშაოები; განხორციელდა სოფლის ცენტრის რეაბილიტაცია, კეთილმოეწყო სოფლის სკვერი, დამონტაჟდა მონიტორი, საბავშვო ანტრაქციონები, დასრულდა მდინარე აკიშაზე ხიდის რეაბილიტაცია და ნაპირსამაგრი სამუშაოები, აშენდა ვარლამ სიმონიშვილის სახელობის სახლ- მუზეუმი. მიმდინარეობს ბოხვაური-შემოქმედის გზის რეაბილიტაცია, მალე დაიწყება გორისფერდის უბნის გზის მშენებლობაც.

მოგეხსენებათ ჩვენი სოფელი გამორჩეულია თავისი საკურორტო ზონით, გომისთით. ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაიწო ზრუნვა კურორტის განვითარებაზე, გომისმთაზე დაიწყო წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, მოეწყო სათავე ნაგებობა, შესაბამისი ავ-.ზით. ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა გომისთის განაშენიანების გეგმის საპროექტო სამუშაოები, რომლის მოერე ეტპი საკრებულომ უკვე დაამტკიცა. აღნიშნული გენერალური გეგმით, ხელს შევუწყობთ კურორტის გეგმაზომიერ განვითარებას.

მე ვისაუბრე რამდენიმე მაშტაბურ განხორციელებულ თუ მიმდინარე პროექტზე, თუმცა სოფლეში პრობელემები რჩება მოსაგვარებელი. ეს არის თემის შიდა გზები, სარწყავი არხების აღდგენა, ეკლესიასთან მისავლელი გზის რეაბილიტაცია, რამდენიმე უბანში გარე განათების მოწყობა და სხვა.

ვიმედოვნებ, მომდევნო წლები ჩემი სოფლისთვის იქნება კიდევ უფრო მეტი განხორცილებული პროექტის, შესრულებული ვალდებულებების. მე თითოეული შემოქმედელის ინტერესის სადარაჯოზე ვდგავარ.

ოზურგეთის საკრებულოს მორიგი აღიარება

ადგილობრივი თვითმართველობის ინდექსის რეიტინგების ლიდერი საკრებულო,ამჯერად კიდევ ერთი ჯილდოს მფლობელი ხდება. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო 2017 წლის ყველაზე ღია და ანგარიშვალდებულ საჯარო დაწესებულებებს შორის დასახელდა.

თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (**IDF**) შემაჯამებელ ანგარიშში - ,,საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში 2017“ ოზურგეთის თემთა მუნიციპალიტეტის საკრებულო ამ მხრივ გამორჩეულია.

,,მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ კვლევის შედეგების მიხედვით, თვითმართველი თემი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო დასახელდა 2017 წლის ყველაზე ანგარიშვალდებულ და ღია საჯარო დაწესებულებებს შორის“ - ნათქვამია თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის გიორგი კლდიაშვილის წერილში.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია მოტივაციისა და წახალისებისთვის მნიშვნელოვანად მიიჩნევს ამ კიდევ ერთ აღიარებას. მისივე განცხადებით ,,საკრებულოს საქმიანობა მომავალშიც გამორჩეული იქნება გამჭვირვალობით, მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებულებით. იგეგმება ახალი მექანიზმების დანერგვა,მათ შორისაა ელექტრონული პეტიცია, რაც ხელს შეუწყობს მოქალაქეთა მაქსიმალურ ჩართულობას თვითმმართველობის განხორციელების პროცესში.“

ოზურგეთის საკრებულოს საქართველოში ღია მმართველობის კარგ მაგალითად ასახელებს, საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანიც. სწორედ საკრებულოს სხდომების პირდაპირი ტრანსლირება, საანგარიშო პროცესის გამჭვირვალობა , საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და საკრებულოს საქმიანობაში ელექტრონული კვლევების დანერგვა გახდა წინაპირობა, საკრებულო გამხდარიყო ღია მმართველობის პარტნიორობის'' სამოქმედო გეგმისა და გლობალური სამიტის მონაწილე, რომელიც თბილისში 17-19 ივლისს გაიმართება.

ერკეთის დედათა მონასტერში

2018 წლის15 აპრილს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის როზა გოგუაძის ინიციატივით მოეწყო ექსკურსია დაბა ჩოხატაურის სოფელ ერკეთის დედათა მონასტერში და ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმში.

ქალბატონმა როზა გოგუაძემ შეკრიბა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლების უბილარი პედაგოგები, ტექნიკური მუშაკები და მათ აჩუქა საუკეთესო დღე.

ერკეთის ეკლესია გურულ ერისთავთა მამულს წარმოადგენდა, მისი წინამძღვრები შარვაშიძეები იყვნენ. XVIII საუკუნის 50-იან წლებში ერკეთის წინამძღვარი მაქსიმე III შარვაშიძე ჯუმათის მიტროპოლიტად დაინიშნა. მღვდელ-მთავრად კურთხევის შემდეგ იგი დიდ მზრუნველობას იჩენდა ერკეთის მიმართ.. მონასტერში დავესწარით წირვას. დედათა მონასტრის წინამძღვარი დედა მარიამი თითოეულ ჩვენგას ლოცავდა,ეხვეოდა და სითბოს არ აკლებდა. მისი მასპინ-ძლობით გაიმართა დიდი სატრაპეზო სუფრა.. იუბილარმა მზია ვამლოიძემ წაიკითხა საკუთარი ლექსები, ისმოდა ღვთისა და მამულის სადიდებელი ჰანგები.

დიდი სითბოთი გამოვემშვიდობეთ მონასტრის წინამძღვარს, მონაზვნებს და თითოეულმა თან წავიღეთ უდიდესი სითბო და დედა მარიამის ნაჩუქარი ერკეთის მთავარანგელოზ მიქაელის ხატი.

გეზი ავიღეთ ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმისაკენ. იქ არსებული ეზო, გარემო, ექსპონატები გვიცოცხლებენ ნოდარ დუმბაძის შემოქმედებას.

სახლ-მუზეუმის ეზოში შეკრებილ იუბილარებს ქალბატონმა როზამ მიულოცა საიუბილეო თარიღები და გადასცა მისალოცი ბარათები და მცირედი საჩუქრები.

ინდიანა ჭანიშვილი,

№2 საჯარო სკოლის თანამშრომელი

აცრები იცავს ბავშვს სახიფათო დაავადებებისგან

იმუნიზაცია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში ყველაზე ეფექტურ ინტერვენციას წარმოადგენს;

ათასწლეულის განვითარების მიზნების მისაღწევად, რომელიც ითვალისწინებს 2020 წლისთვის ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის 2/3-ით შემცირებას, აუცილებელია მოსახლეობაში მაღალი იმუნური სტატუსის შენარჩუნება აცრებით მოცვის სათანადო მაჩვენებლით უზრუნველყოფით მართვადი ინფექციების მიმართ;

გლობალური მიზნები ვაქცინებით მართვად დაავადებებთან მიმართებაში

-იმუნიზაციის სისტემების გაძლიერება, მათ შორის ახალი ვაქცინების და ტექნოლოგიების დანერგვა;

- წითელას და წითურას აღმოფხვრა;

-პოლიომიელიტისგან თავისუფალი სტატუსის შენარჩუნება; აცრებით მოცვის მაჩვენებლების გაუმჯობესება:

-წითელა- წითურა ყბაყურა ვაქცინის პირველი და მეორე დოზით მოცვის 95% მაჩვენებლის მიღწევა;

პოლიომიელიტის ვაქცინის მესამე დოზით მოცვის 95% მაჩვენებლის მიღწევა;

დიფთერია-ყივანახველა-ტეტანუსის ვაქცინებით ასაკის შესაბამისად მოცვის 95% მაჩვენებლის მიღწევა;ვა-ქცინაციის ისტორია

ვაქცინაცია ყოველწლიურად მილიონობით ბავშვს იცავს სიკვდილის და ჯანმრთელობის მდგომარეობის მძიმე დარღვევებისაგან.

ინფექციებთან ბრძოლაში პირველი წარმატებები მაღწეულ იქნა უფრო ადრე,, ვიდრე დაავადებათა გამომწვევები იქნებოდა აღმოჩენილი. მხედველობაშია ცნობილი ინგლისელი ექიმის, ედუარდ ჯენერის, 1796 წელს შექმნილი ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინა და დიდი ფრანგი მეცნიერის,ლუი პასტერის მიერ 1885 წელს შექმნილი ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინა.

ჯენერისა და პასტერის მოგნებები შემთხვევით ხასიათს ატარებდნენ. მეცნიერებს კიდევ დიდი დრო და შრომა დასჭირდათ ყველაფრის გასაგებად და გამომწვევებთან გეგმაზომიერი ომის გამოსაცხადებლად.

ვაქცინაცია ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლის ყველაზე ეფექტური, სანდო და უძველესი საშუალებაა. ვაქცინოლოგია,როგორც მეცნიერება, უკვე ცნობილია 200 წელი და აქამდე ერთგულად ემსახურება კაცობრიობას. ვაქცინაციის წყალობით დამარცხებულია ყვავილი, თითქმის განადგურებულია პოლიომიელიტი, მკვეთრადაა შემცირებული წითელათი, ცოფითა და წითურათი ავადობა. ამ ვირუსულ დაავადებებთან ერთად აღნიშვნის ღირსია სხვა მიკროორგანიზმებით გამოწვეული დაავადებები - შავი ჭირი, ქოლერა, ტუბერკულოზი, დიფთერია, ტეტანუსი, ყივანახველა, ტულარემია, ჯილეხი - აი არასრული სია დაავადებებისას, რომელთან ბრძოლაშიც გაიმარჯვეს ვაქცინებმა. ინფორმაცია მართვადი ინფექციების შესახებ:

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველწლიურად 14 წლამდე ასაკის 12 მილიონამდე ბავშვი იღუპება. დაახლოებით 9 მლნ ბავშვი იღუპება ინფექციური დაავადებებისაგან, მათ შორის კი, 3 მილიონამდე ბავშვი,ანუ მესამედი – იმ ინფექციებისაგან, რომელთა პროფილაქტიკისათვის არსებობს ვაქცინა. მათ შორის, წითელათი გამოწვეული სიკვდილიანობაა 45,5%, ჰიბ ინფექციით - 23,4%, ყივანახველათი - 17%, ახალშობილთა ტეტანუსით - 11%;

იმუნიზაცია ერთ-ერთ ყველაზე ხელმისაწვდომ და ეფექტურ სამედიცინო მომსახურებას წარმოადგენს და მისი მიზანია მოსახლეობის დაცვა ინფექციური დაავადებებისაგან. მსოფლიოში იმუნიზაციის გაფართოებული პროგრამის ფარგლებში 20 წლის განმავლობაში ყოველწლიურად თავიდან აცილებულია ბავშვთა ლეტალობის სულ ცოტა 3 მილიონი შემთხვევა. ამას გარდა, 750 000 ბავშვია გადარჩენილი სიბრმავის, ინვალიდობის, გონებრივი ჩამორჩენილობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის სხვა მძიმე დარღვევებისაგან.

1995 წელს მსოფიოს 5 წლამდე ასაკის ბავშვთა თითქმის ნახევარმა მიიღო პოლიომიელიტის საწინააღმდეგო აცრა მასობრივი ვაქცინაციის კამპანიის ფარგლებში (რეკორდული რაოდენობა 300 მილიონი).

აცრების საშუალებით მოხდა ველური პოლიოვირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევების აღმოფხვრა საქართველოში. ქვეყანაში ველური პოლიომიელიტის ვირუსით გამოწვეული ბოლო ადგილობრივი შემთხვევა აღრიცხული იქნა 1992 წელს, ხოლო შემოტანილი შემთხვევა - 2001 წლის ბოლოს. 2002 წელს ევროპის რეგიონი და მათ შორის საქართველო სერთიფიცირებული იქნა როგორც პოლიომიელიტისგან თავისუფალი ტერიტორია. მუხედავად ამისა,მაინც არსებობს ევროპის ტერიტორიაზე სხვა რეგიონებიდან ვირუსის შემოტანის რეალური რისკი. ამის თვალსაჩინო მაგალითია 2010 წლის ველური პოლიომელიტის ეპიდაფეთქება ტაჯიკეთში, რომელმაც 500-მდე ინვალიდობის და 29 გარდაცვალების შემთხვევა გამოიწვია.

პროფილაქტიკური აცრები ხელს უწყობს ბავშვის იმუნიტეტის (თავდაცვის უნარის) ჩამოყალიბებას კონკრეტული დაავადების მიმართ. მშობელმა უნდა იცოდეს როდის, სად და რამდენჯერ უნდა აიცრას ბავშვი.

ბავშვთა გეგმიური იმუნიზაცია ხორციელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კანონისა და პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის შესაბამისად რუტინული ვაქცინაციის სქემა დამოკიდებულია ქვეყნის ეპიდემიოლოგიურ და პროგრამულ თავისებურებებზე.

სახელმწიფო უზრუნველყოფს 12 ინფექციის - ტუბერკულოზის, დიფთერიის, ყივანახველას, ტეტანუსის, პოლიომიელიტის, ყბაყურას, წითურას, წითელას, ბ ჰეპატიტის , როტავირუსული, პნევმოკოკური ინფექციების და ბ ტიპის hemofilus influencas საწინააღმდეგო ვაქცინაციას.

აღნიშნული დაავადებების იმუნოპროფილაქტიკა ხორციელდება 9 ვაქცინის საშუალებით, ესენია: C (ტუბერკულოზი), ეპ (ბ ჰეპატიტი), **PT-Hlb-HepB (** დიფთერია, ყივანახველა, ტეტანუსი, ჰემოფილუს ინფლუენცა ტიპი ბ, ბ ჰეპატიტი) თ (დიფთერია, ტეტანუსი), თდ (ტეტანუსი, დიფთერია), PV (პოლიომიელიტი), ღ (წითურა,წითელა,ყბაყურა), CV (პნევმოკოკური ინფექცია) და ღოტა (როტავირუსული ინფექცია);

პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის მიხედვით საქართველოში:

BCG აცრა კეთდება დაბადებიდან 0-5 დღის განმავლობაში;

Hep B (მონო) - დაბადებიდან 12 საათის განმავლობაში;

DPT-Hlb-HepB - 2.3.4 თვის ასაკში;

OPV - 2, 3, 4, 18 თვის, 5 წლის ასაკში;

ROTA - 2, 3 თვის ასაკში;

PCV - 2, 3, 12 თვის ასაკში;

MMR - 12 თვის და 5 წლის ასაკში;

DT – 5 წლის ასაკში;

Td - 14 წლის ასაკში და შემდეგ ყოველ 5 წლიწადში 55 წლის ასაკამდე.

იმუნიზაცია სრულყოფილად ითვლება იმ შემთხვევაში,თუ ბავშვს:

1 წლამდე ასაკში ჩატარებული აქვს 12 აცრა: bcJ, hep b (მონო), 3 (დყტ+ჰეპ ბ+ჰიბ), 3 ოპვ და 2 როტავირუსული ინფექციის და 2 პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო აცრა;

1 წლიდან 2 წლამდე ასაკში 4 აცრა: wwy, pkv, dyt და opv ;

5 წლის ასაკში 3 აცრა: dt, opv და wwy;

14 წლის ასაკში 1 აცრა – td.

აუცილებელია, ზუსტად დავიცვათ აცრების კალენდარი –სრულყოფილად და დროულად ჩავუტაროთ აცრების კურსი.

ექიმთან ერთი ვიზიტის დროს, რამდენიმე აცრა ერთდროულად კეთდება,ეს ხელს უწყობს კურსის დროულად დამთავრებას, რაც თავის მხრივ ზრდის ვაქცინაციის ეფექტურობას.

დაუშვებელია აცრების გადავადება ისეთი ცრუ უკუჩვენებების გამო, როგორიცაა გაციება, ხველა, სურდო, ალერგია, ქრონიკული დაავდებები და ა.შ.

ქვეყანა განაგრძობს ახალი ვაქცინების დანერგვას პროფილაქტიკური აცრების ეროვნულ კალენდრში. 2014 წელს დაიწყო იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, რომელიც იცავს ბავშვს პნევმოკოკით გამოწვეული ისეთი სერიოზული დაავადებებისგან,როგორიცაა პნევმონია,მენინგიტი, ბაქტერიემია, სეფსისი, შუა ყურის მწვავე ანთება, სინუსიტიდა სხვა.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ 2000 წელს მსოფლიოში მძიმე პნევმოკოკური დაავადების დაახლოებით 14.5 მილიონი შემთხვევა დაფიქსირდა. 2008 წელს, 5 წლამდე ასაკის ბავშვთა გარდაცვალების 8.8 მილიონი შემთხვევიდან, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით 541,000 შემთხვევა გამოწვეული იყო პნევმოკოკური ინფექციით.

იმუნიზაციის უსაფრთხოება

თანამედროვე ვაქცინები უსაფრთხოა, თუმცა ყველას აქვს იმუნიზაციის შემდეგ არასასურველი მოვლენების განვითარების იშვიათი რისკი.

იმუნიზაციის შემდეგ განვითარებული არასასურველი მოვლენები იმდენად უმნიშვნელოა დაავადებისა და მისგან გამომდინარე ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან შედარებით, რომ ვაქცინაციის აუცილებლობა და ეფექტურობა უდაოა. აღსანიშნავია, რომ ასაკობრივად დროულად ჩატარებული ვაქცინაცია ამცირებს აცრის შემდგომი არასასურველი მოვლენების განვითარების ალბათობას..

აცრის შემდეგ 1-3 დღის განმავლობაში სხეულის ტემპერატურამ შესაძლოა მოიმატოს 38.50ჩ-მდე, შეინიშნებოდეს ზოგადი აგზნებადობა, აცრის ადგილის შეწითლება, შეშუპება და მტკივნეულობა. ეს ორგანიზმის ბუნებრივი რეაქციაა და მის ჯანსაღ იმუნურ სისტემაზე მეტყველებს.აცრის შემდგომ არასასურველი მოვლენების განვითარების შემთხვევაში, მშობელმა აუცილებლად უნდა მიმართოს ექიმს.

საქართველოში იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამოიყენება მხოლოდ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული და სერთიფიცირებული ვაქცინები. აქედან გამომდინარე, ყველა ვაქცინა, მუხედავად მწარმოებელი ქვეყნისა და/ან კომპანიისა, გამოირჩევა მაღალი ეფექტურობისა და უსაფრთხოების მაჩვენებლით. თუმცა ვაქცინის ეფექტურობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ვაქცინირებული პირის ჯანმრთელობის ზოგად მდგომარეობაზე სრულყოფილი იმუნიტეტის გამომუშავების თვალსაზრისით.

პროგამული ვაქცინები უფასოა მომხმარებლისთვის, რადგან ამ ვაქცინის ღირებულებას სრულად ფარავს სახელწიფო იმუნიზაციის პროგრამის ფარგლებში;

ვაქცინის ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე დიდ გავლენას ახდენს ასევე ვაქცინაციის პროცესის განხორციელების წესების დაცვა,ვაქცინის შენახვისა და ტრანსპორტირების შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა ვაქცინის მოწოდების ყველა ეტაპზე მწარმოებლიდან მიმღებ ორგანიზმამდე. აღსანიშნავია ისიც, რომ აცრები ტარდება ერთჯერადი ავტობლოკირებადი შპრიცების საშუალებით იმუნიზაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. ყოველივე ზემოთაღნიშნული, მომსახურების მიწოდების სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორთან ერთად, განაპირობებს ვაქცინაციის პროცესის ეფექტურობას და მის უსაფრთხოებას.

ინფორმაცია საქართველოში წითელას გავრცელების შესახებ.

საქართველოში, ისევე როგორც ევროპის რეგიონის სხვა ქვეყნებში უნდა განხორციელდეს წითელასა და წითურას ელიმინაცია და მისი ძირითადი სტრატეგიებია:

- წითელა/წითურას შემცველი ვაქცინით არანაკლებ 95% მოცვის მაჩვენებლის მიღწევა ორივე ასაკობრივ ჯგუფში ნაციონალურ და სუბნაციონალურ/რაიონულ დონეებზე გეგმური იმუნიზაციის საშუალებით;

- - ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის გაძლიერება წითელა/წითურას ყველა შემთხვევის აღმოჩენის და დადასტურების მიზნით;

საყურადღებოა ის გარემება, რომ საქართველოში აცრებით მოცვის მაჩვენებელი ზოგიერთი ძირითადი ანტიგენის მიმართ არც თუ ისე მაღალია, რაც ზრდის ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკს. ყოველწლიურად საქართველოში წითელას მიმართ არავაქცინირებული რჩება 1 - 2 წლის 5000-მდე ბავში ხოლო არასრულად ვაქცინირებული 5 - 6 წლის 4000 ბავშვი. რაც თავის მხრივ, მოსახლეობის ფართო ასაკობრივ ჯგუფში დაავადების გავრცელების მიზეზი ხდება.

2013 წელს საქართველოში დაიწყო წითელას შემთხვევების მნიშვნელოვანი მატება, რომელმაც ეპიდფეთქების სახე მიიღო და დღემდე გრძელდება. მიმდინარე პერიოდისათვის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, შემთხვევათა რაოდენობამ 10 ათასს გადაჭარბა, აქედან 4 დასრულდა ლეტალურად. საქართველოს მთავრობის განკარგულებების შესაბამისად, უკვე მეორე წელია მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ხორციელდება ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით

უნდა გვახსოვდეს რომ არავაქცინირებული პირი საფრთხეს უქმნის როგორც საკუთარ, ასევე მის გარშემო მყოფი ადამიანების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს!

აცერი და დაიცავი მომავალი თაობა!

არჩილ მეშავია

საზ. ჯანდაცვის დეპარტამენტის გურიის განყოფილების უფროსი

უბადლო გრაფიკოსი შალვა ძნელაძე

შალვა ძნელაძე ავტოპორტრეტი, 1920

გვარის ისტორიაში არის საზეიმო დღეები, რომელიც დიდხანს რჩება ადამიანის მეხსიერებაში და გადაეცემა მომავალ თაობას. სასიხარულო იყო ძნელაძის ოჯახისთვის, როდესაც ბოლნისის რაიონში კარის ბალავარზე გაჩნდა ბოლნურ ქვასთან წარწერა „ძნელაი“. მის შვილებს კი ძნელაისძეებს უწოდებდნენ . წარწერა მე-5 საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება, კერძოდ 494 წლით თარიღდება.

სასიხარულო და საამყოა, როდესაც ლორეში, სოფელ შახნაზარში ერთ ეკლესიაში ქართულ ლიპიდურ საამშენებლო წარწერაში აღნიშნულია „ღირს ვიქნით ჩ(უე)ნ გლახაკნი და უნარჩევსნი ყოველთა კაცთა - ოთხი ძმანი ძნელაის ძენი შენებად ამსა წმინდასა საყდარსა“ . ეკლესია აშენებული XI საუკუნეში. აქვე არის მეორე ქართული წარწერა „ქრისტე შეიწყალე ძნელაი მირიან“. ძნელაძეების გვარი მოხსენიებულია ტბეთის სულთა მატიანეში, რომელიც გახლავთ XII-XVII საუკუნეების ხელნაწერი ძეგლი, ტბეთის ეკლესიაში ,რომელიც ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა. ხოლო ხელნაწერი პეტერბურგში აზიის მუზეუმში ინახება. ძნელაძეების შესახებ რამდენიმე ჩანაწერი გვხვდება ბიჭვინთის საკათალიკოზო გლეხების შესაწირ წიგნში. ძნელაძეების შესახებ მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის ზაქარია ჭიჭინაძე,რომელიც ქართველთა გამუსულმანებას აგვიწერს შავშეთში.

2018 წლის 5 მარტს სასიხარულო და საამყო დღე იყო ძნელაძეებისათვის, თბილისში გაიხსნა უბადლო გრაფიკოსის შალვა ძნელაძის ნამუშევრების გამოფენა და გამოიცა ალბომი.

შალვა ძნელაძე დაიბადა ოზურგეთის მაზრაში, სოფელ ბურნათში (ამჟამად ჩოხატაურის რაიონი) 1892 წლის 15 ივლის ანტონ ძნელაძის ოჯახში. ისინი 1904 წელს საცხოვრებლად გადადიან ჩოხატაურში, სადაც ახლაც ცხოვრობს მათი შთამომავალი. ანტონ ძნელაძეს ჰყავდა ოთხი ვაჟი და ოთხი ქალიშვილი. იგი შრომისმოყვარე, პატიოსანი ადამიანი იყო, ეწეოდა სოფლის მეურნეობას, ვექილობას და კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა იყო ჩოხატაურის საერისთავო სასამართლოს დაწესებულებაში მდივანი.

ბატონმა შალვამ პირველი დაწყებითი სწავლა (ხუთი კლასის ფარგლებში) ქუთაისის რეალურ სასწავლებელში მიიღო. სადაც ხატვას ასწავლიდა ცნობილი მხატვარი ვასილ ანფიმის ძე კროტკოვი (1880-1959), რომელიც 1905 წლიდან მუშაობდა ქუთაისში,შემდეგ კი თბილისში.

ვ. კროტკოვმა თავიდანვე შენიშნა შალვას ხატვის ნიჭი და დიდ ყურადღებას აქცევდა პატარა შალვას.. სამხატვრო განათლების მიღების მიზნით თბილისში სახვითი ხელოვნების წამახალისებელი საზოგადოების სასწავლებელში აგრძელებს სწავლას. მისი პედაგოგები იყვნენ ალ. მრევლიშვილი, მ. თოიძე,ჰ. პრინევსკი,ფოგელი და სხვები. თავისი პედაგოგებისა და ნათესავების დახმარებით ბატონი შალვა კიევში მიემგზავრება და ირიცხება სიმპერატორო სამხატვრო აკადემიის გამგებლობაში. არსებულ სამხატვრო სასწავლებელში,რომელსაც იგი ამთავრებს 1917 წელს 25 წლის ასაკში. კიევში ხშირად მონაწილეობდა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენაში, კიევის ჟურნალებშიც ხშირად ბეჭდავდნენ მის ნაშრომებს. იყო კიევის ყოველკვირეული სალიტერაურო, სამხატვრო, სამეცნიერო და საზოგადოებრივი ჟურნალი „ეპოქის“ თამაშრომელი.

1917 წლის მიწურულს კიევიდან დაბრუნების შემდეგ შუუდა პედაგოგიურ საქმიანობას ტფილისის მესამე ვაჟთა საცდელ საჩვენებელ სკოლაში ,პარალელურად საყმაწვილო ჟურნალების და აკადემიური გამომცემლობის რედაქციებთან თანამშრომლობდა მან დასურათა „თამარიანი“ ,ლევან მეტრეველის წიგნი „ ამბავთა ქარავანი“,ლავრენტი ჭიჭინაძის „ ისლიანი სახლები“, ეგ. ნინოშვილისა და დ. კდიაშვილის თხზულებანი. მონაწილეობდა სპექტაკლების გაფორმებაში, ჩოხატაურის სახალხო თეატრში გაუფორმებია ვალერიან გუნიას „და-ძმა“, აქსენტი ცაგარელის პიესა „ გულ ჯავრა“.

შალვა ძნელაძის შემოქმედითი მუშაობის პერიოდი მხოლოდ ოცი წლით განისაზღვრება , მიუხედავად ამისა მან 2000-მდე საინტერესო ნაწარმოები შექმნა. 1924 წლის ანტირელიგიურ მოძრაობას შეეწირა 1922-23 წლებში შალვა ძნელაძისა და შალვა მახარაძის მიერ ქართულ ეკლესია-მონასტერში შესრულებული არქიტექტურული ჩანახატები.. იგი იყო წყნარი, სათნო,მოკრძალებული და ფუტკარივით მშრომელი ადამიანი (ნიკო კეცხოველი)

შალვა ძნელაძე სურდა სწავლის გაგრძელება გერმანიაში „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ გამგობამ ორი სხდომა მოუძღვნა უცხოეთში სასწავლებლად წარსადგენ მთავრობის სტიპენდიატთა სიების შედგენას, ორივე სხდომაზე (1920 წლის 20 ივნისი და 23 ივნისი) შალვა ძნელაძის კანდიდატურაც დასახელდა დიმიტრი შევარდნაძის ,დავით კაკაბაძის,შალვა მამალაძის მიერ. მეორე კრების დასასრულს კანდიდატთა რიგითობის მიხედვით შალვა ძნელაძე მეათე აღმოჩნდა გერმანიაში სასწავლებლად წასვლა ოცნებად დარჩა.

შალვა ძნელაძის შემოქმედებითი წყარო მშობლიური კუთხე პატარა გურიაა მის ნახატებში ასახულია გურიის ცხოვრება,თავისი წარსულით და აწმყოთი. მისი ნამუშევრები შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: 1. ფანქრით ნატურიდან შესრულებული ნახატები,მათ მიეკუთვნება ცალკეული ფიგურები,პორტრეტები,გურული „ტიპები“, სიყვარულით აქვს მოცემული გურული ფაცხა,თუ ოდა-სახლი,ნალია თუ წისქვილი, ეზო, ბელელი, ჭიშკარი, ალაგე და სხვა. 2. ილუსტრაციები, რომელშიც ასახულია ე. ნინოშვილის მოთხრობების პერსონაჟები,3. გურული ხალხის 1905 წლის რევოლუციური ბრძოლის ეპიზოდები.

1934 წლის ზაფხულში საქართველოს მხატვართა კავშირმა მოაწყო გამოფენა. მასში მონაწილეობდა 140-მდე მხატვარი, რომელთაც გამოფენილი ჰქონდათ ფერწერის,გრაფიკის და ქანდაკებების 540-ზე მეტი ნაწარმოები . ამ გამოფენაზე შ. ძნელაძე წარსდგა 11 ნამუშევრით „ ბატონი და ყმა“, „ხევსურის სიკვდილი“ , „ურჩი ყმა“ „,სამხედრო თათბირი გურიაში 40-იან წლებში“ „,1905 წელი გურიაში“, „დამარცხებული“ და სხვა.

გამოფენის ჩატარების შემდეგ მხატვართა კავშირმა შალვა ძნელაძეს დაავალა დაეწერა სურათი გურიის რევოლუციური წარსულიდან ,მაგრამ მას არ დასცალდა,1934 წლის სექტემბერში იგი გარდაიცვალა, დაკრძალულია ჩოხატაურში. ოჯახში გაგზავნილ დეპეშებში გულისტკივილს გამოხატავდნენ მხატვრები ლადო გუდიაშვილი ,მოსე თოიძე,კორნელი სანაძე, ლადო გრიგოლია , პროფ. ნ. ბერძენიშვილი და სხვები. ჟურნალებსა და გაზეთებში გამოქვეყნდა ვრცელი წერილები,რომელიც მიეძღვნა მხატვრის ხსოვნას. 1935 წლის 18 აპრილს მოეწყო გამოფენა სადაც წარმოდგენილი იყო 240 ნამუშევარი.

მხატვრის გარდაცვალების 25 წლისთავზე (1949) დაიბეჭდა რამოდენიმე სტატია, 1965 წელს ვლადიმერ ქიქოძემ გამოაქვეყნა მონოგრაფია „შალვა ძნელაძე“. 1975 წელს მოსკოვში გამოიცა საკმაოდ მოზრდილი მონოგრაფია „საბჭოთა საქართველოს ხელოვნება“, ავტორები გახლდათ ვ. ბერიძე და ნ. ეზერსკაია, სადაც 117-121 გვერდზე განხილულია შალვა ძნელაძის შემოქმედება.

ქართველი ხელოვნებათმცოდნეები და კრიტიკოსები აღნიშნავდნენ შალვა ძნელაძის ტალანტს, მის ორიგინალურ თავისებურებებს და მისი შემოქმედებას ქართული გრაფიკული ხელოვნების განყოფილებაში. სამართლიანად აღნიშნავდა ვლადიმერ ქიქოძე, რომ შალვა ძნელაძის მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა ჯერ კიდევ მოითხოვს სამართლიან შესწავლას, განზოგადოებას და მიზანშეწონილად თვლიდა პირველ რიგში გამოცემულიყო ცალკე ალბომი.

ბატონ შალვას გარაფიკული ნამუშევრები ინახება საქართველოს ეროვნულ და გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმებში, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, საქართველოს ეროვნული არქივისა და ჩოხატაურის ნ. ბერძენიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, აგრეთვე შალვა ძნელაძის უახლოესი ნათესავების კერძო კოლექციებში, რომელიც სათუთად უფრთხილდებიან და ინახავენ ბატონ შალვას ნამუშევრებს. 1970 წელს გამომცემლობა მერანის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა შ. ძნელაძის ნამუშევართა გამოფენა. გამომცემლობის დირექტორმა კ. კალაძემ სამართლიანად აღნიშნა, რომ შალვა ძნელაძე ისე პოპულარული არ არის, რადგანაც ადრე გარდაიცვალა და მისი ნამუშევრების გამოფენა არ ეწყობოდაო.

და აი ,თითქმის ნახევარი საუკუნის გასვლის შემდეგ 2018 წლის 5 მარტს გაიხსნა ბატონ შალვას გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა, რაც მთავარია გამოიცა ალბომი, სადაც მოთავსებულია მისი ბიოგრაფია და ნამუშევრები.

დასაფასებელია ხელოვნებათმცოდნის, ქალბატონ ირინა აბესაძის შრომა, რომელიც ენთუზიაზმით შუდგა შალვა ძნელაძის გრაფიკული ნამუშევრების შეგროვებას და აქტიური მონაწილეობა მიიღო ალბომის გამოცემაში.

დიდი მადლობა უნდა მოვახსენოთ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს,რომელთაც ძალა და შესაძლებლობა არ დაიშურეს გამოეცათ შესანიშნავი ალბომი და საზოგადოებისთვის დაებრუნებინათ მეიწყებული მხატვარი.

ლევან ძნელაძე

ცოცხალი-live № 16

აგრონომი ქალები და აბრეშუმის წარმოება ოზურგეთში

ოცნება – ჩვენს შვილებს ჰქონოდეთ უკეთესი სიბერე

თითქმის მთელი ცხოვრება მეგობრობენ -სკოლიდან, სამსახურიდან, ინსტიტუტიდან... მათი ცხოვრება ჩვენი ეპოქის მაჯისცემაა... ნგრევა, შენება...

ნაზი (ლილი) მენაბდე, ვის იუბილეზეც მე დამპატიჟეს, დაიბადა 1939 წელს,13 აპრილს. იგი 79 წლის იუბილეს აღნიშნავდა კლასელებთან, კურსელებთან ერთად. სიამოვნებით დამთანხმდნენ ორიოდე სიტყვით გასაუბრებაზე:

ნაზი (ლილი) მენაბდე - ინსტიტუტში ვსწავლობდი 1961-68 წლებში, 1976 წლამდე პატარებს ვზრდიდი, შემდეგ ოზურგეთის „რაიაბრეშუმში“ ვმუშაობდი საწარმოს გაუქმებამდე, 1997 წლამდე. სამსახურში მისვლისას პირველად რომ გასაცნობად შეიკრიბა ჩემთან თანამშრომლები, მას შემდეგ ხშირად ვიკრიბებით ჩემთან. - ღიმილით ამატებს - გაიცნეს ლაბორანტის ოჯახი და მერე აღარ იქნა ამათი მოშორება. გული მწყდება ჩვენს რაიონში აბრეშუმის წარმოება რომ მოიშალა. ჩვენი პროფესიაც, ჩვენი ნაღვაწიც გაუფასურდა უცებ.

ლია ჩავლეშვილი: მე ინსტიტუტი დავამთავრე 1963 წელს, მას შემდეგ 45 წელიწადი ვიმუშავე „რაიაბრეშუმში“ მებრეშუმე აგრონომად, მებარა სამი კოლმეურნეობა - ბახვი, ქედაბახვი და მშვიდობაური, გეგმებს ვასრულებდი გადაჭარბებით და ბევრი ჯილდოც მაქვს მიღებული ამის გამო. დღეს ვარ დიასახლისი. ხან ვიკრიბებით ძველი მეგობრები და თანამშრომლები.

ლამარა დობორჯგინიძე: ორმოცი წელიწადი ვმუშაობდი „რაიაბრეშუმში“ ლაბორანტად, ვარ აგრონომი. ჩვენს დროს ოზურგეთში მზადდებოდა 120 ტონა პარკი. მოხარული ვიქნებოდი თუ ეს დარგი აღდგებოდა და თუ მომავალი თაობა გააგრძელებს ჩვენს საქმეს. მე სახლში ვზრდიდი აბრეშუმის ჭიას და ვაწარმოებდი პარკს. სამსახურში მეც მებარა კოლმეურნეობები, სადაც გეგმები წარმატებით სრულდებოდა.

ლამარა გიორგაძე: მეც მებრუშე აგრონომი ვარ. 38 წელიწადი ვემსახურე ამ საქმეს. მებარა სამი კოლმეურნეობა - მერია, ნაღობილევი, ხვარბეთი, ჩვენც გადაჭარბებით ვამზადებდით პარკს.

იზოლდა გოგუაძე: სოფელ ძიმითიდან ვარ. სკოლის დამთავრებიდან შვიდი წელიწადი სოფლის კოლმეურნეობაში ვიმუშავე. რაიონში ცნობილი მებრეშუმე ვიყავი, ვამზადებდი აბრეშუმის პარკს, ვუვლიდი აბრეშუმის ჭიას. 1963 წლიდან საწარმოს გაუქმებამდე ვმუშაობდი „რაიაბრეშუმში“. უმაღლესი განათლება დაუსწრებლად მივიღე. მებარა კოლმეურნეობები- ბოხვაური, წითელმთა, ექვდია-ლაშე, ზვანი და სოფელ მახარაძე. ქალაქის კოლმეურნეობებს პატარა გეგმა ჰქონდა. ჩვენ კოლემეურნეობები გეგმის მიხედვით გვებარა და არა რაოდენობის მიხედვით.

ნელი სალუქვაძე: 1955 წელს დავამთავრე სკოლა და მას შემდეგ ვმუშაობდი მებრეშუმეობაში. დაუსწრებლად დავამთავრე ინსტიტუტი. ვემსახურებოდი ნატანების და შრომის კოლმეურნეობას.

დღეს ძნელია მებრეშუმეობის აღდგენა, ისევე როგოც ჩაი, თუთის ხეები ამოძირკვეს და საკვები ბაზა აღარ გვაქვს აბრეშუმის ჭიისთვის, რაც ძალიან დასანანია.

მერი მეგრელიშვილი: მეც აგრონომი ვარ „რაიაბრეშუმიდან“. ჩემი სამუშაო უბანი იყო დვაბზუ და გალმა დვაბზუ. შესაბამისი სიტუაცია იყო იქაც. ჩვენი სამსახური აღარ არსებობს. თავისუფლები ვართ და ჩვენი ყველაზე საყვარელი საქმე ერთად შეკრებაა. ერთად ვშრომობდით, დღესაც ერთად ყოფნა გვახარებს. ვიკრიბებით ყველა დღესასწაულზე. ვეფერებით ერთმანეთს. ცოტა კი შემოგვიტია ასაკმა, ოთხმოციანები (ოთხმოცი წლისები) ვართ.

ლია ჩავლეშვილი: ჩვენი სამსახური როცა გაუქმდა ორმოცდა თხუტმეტი წლის ვიყავით.

კითხვაზე, შეიძლებოდა თუ არა მებრეშუმეობის შენარჩუნება ოზურგეთში, ყველა მთვანი დადებითად პასუხობს. იყო ინვესტორის შემოთავაზება, თუმცა საკვები ბაზა მწერისათვის უკვე განადგურებული იყო.

მერი კალდარიშვილი: მებრეშუმეობა მახარაძის (ოზურგეთის) რაიონში მეორე დარგი იყო მეჩაიეობის შემდეგ. ხალხისა და სახელმწიფოსათვის დიდი სარგებელი მოჰქონდა. თუთა განადგურდა და დარგიც მას მიჰყვა.

ლამარა გიორგაძე: ჩვენი შეხვედრების ორგანიზატორები ყველა ვართ. უყურადღებოდ ერთმანეთს არ ვტოვებთ. გვსამოვნებს ეს შეხვედრები. შეზრდილები ვართ ერთმანეთთან.

ქალბატონები ასევე ერთსულოვნად გვპასუხობენ, რომ მათი შრომა არ დაფასდა.

ლია ჩავლეშვილი: ჩვენ ჩვენი პენსიის ფული გვექვითებოდა, რომ მომავალი უზრუნველი გვქონდა. მაგრამ ახლა უმუშევარსაც და ნახევარსაუკუნოვან სტაჟიან ადამიანს, ყველას ერთნაირი პენსია გვაქვს, რომელიც წამალს არ ჰყოფნის.

იზოლდა გოგუაძე: პენსიონერები კი ვართ, მაგრამ ჩვენსც გვაქვს შრომა გაწეული. არავის ახსოვს ეს.

ლამარა გიორგაძე: 94 წლის მეგობარი გვყავს ჩვენ და არავის მის კარზე არ დაუკაკუნებია რომ სიმბოლურად დაესაჩუქრებინა, მოენახულებინა. ამ ასაკის ამგდარ ადამიანს კი ეკუთვნის ყურადღება ხელისუფლებისაგან. იგი ნახევარი საუკუნე ემსახურა „რაიაბრეშუმს.“

„რაიაბრეშუმის“ დანიშნულება ამ სტატიიდანაც კარგად ჩანს - ჩვენი აბრეშუმის ფაბრიკის პარკით მომარაგება. სხვათაშორის, ამ პარკიდან დამზადებული ძაფის ქსოვილი, შიფონი, საფრანგეთის გამოფენის გამარჯვებული იყო...

გავერანებული აბრეშუმის ფაბრიკა,ამოძირკვული თუთები,გაღარიბებული გურია და ძნელად ასატანი სიბერე... ასეთია რეალობა... ნეტავ, ეს სურათი „ზემოდანაც“, ხელისუფლების მწვერვალიდან ჩანს? ამგდარების დაფასება ხომ მაინც არის შესაძლებელი?

მებრეშუმეობის ქომაგებმა თავიანთი ნატვრაც გაგვიმხილეს - ვოცნებობ, ჩვენს შვილებს უკეთესი სიბერე, მათ ღვაწლს მეტი დაფასება ჰქონდესო.

ლია კილაძე

„მე დავასრულე ბედთან ჭიდილი“

ეს მეხის გავარდნა იყო ჩვენს თავზე, საშინელმა ტრაგედიამ, რომელმაც შეძრა არამარტო ჩვენი სოფელი, არამედ ყველა ადამიანი, ვინც კი ეს ამბავი გაიგო. სრულიად ნაადრევად დავკარგეთ 13 წლის მარიამ ჩხარტიშვილი..ის ყველასგან გამორჩეული, განსაკუთრებული ბავშვი იყო. ყველას გაოცება სკოლაში მოსვლის პირველსავე დღეს მოახერხა თავისი გონებამახვილობით.

მარიამი წმინდა სულის, ფიზიკურად უნაკლო, ულამაზესი გოგონა იყო. ვზრდიდით და ვხარობდით იმით, თუ როგორ მშვენდებოდა და ლამაზდებოდა. ყოველთვის მოწესრიგებული იყო. კარგად სწავლობდა, აზროვნებდა, აქტიური იყო, როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე კლასგარეშე ღონისძიებებზე. ზოგი მასწავლებელი მოფერებით „პრინცესას“ ეძახდა, ზოგიც კი"ფერიას'. სკოლაში გამართული ყველა ღონისძიების ნამდვილი დედოფალი გახლდათ .კარგი სწავლის გარდა, არაჩვეულებრივად მღეროდა, ცეკვავდა. ყველა კლასის მოსწავლეებთან მეგობრობდა, ბავშვებს ძალიან უყვარდათ, სანიმუშო იყო თავისი ქცევით, უფროსებთან და თანატოლებთან ურთიერთობით. სკოლაში სწავლის შვიდი წლის მანძილზე ერთხელაც არ მიგვიცია მისთვის შენიშვნა, უაღრესად ზრდილობიანი და შრომისმოყვარე იყო. დედას სულ ეხმარებოდა საოჯახო საქმეების კეთებაში და პატარა და- ძმების მოვლაში. არ ჩაგვახედა მის გულში და ეს ახლა ძალიან გვაწუხებს, მისი სიტყვები „მე დავასრულე ჭიდილი ბედთან, სად არის ჩემი ბედნიერი დასასრული?“ სულს გვიწამლავს, რატომ ასეთი სიტყვები, ან აზრები?.. ნუთუ წინათგრძნობა ჰქონდა? ალბათ ანგელოზებთან ასაფრენად ემზადებოდა, ღრმად მორწმუნე გოგონა, არადა იმ ავბედით დღეს ეზიარა უფლის სისხლსა და ხორცს და ისე წავიდა ჩვენგან. რამდენი აუხდენელი ოცნება დატოვა, რამდენი ცრემლი, ტკივილი, დაგვიტოვა ტკივილი, რომელიც არასდროს მოშუშდება.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული ჩვენო პატარა ანგელოზო!

ბაილეთის საჯარო სკოლის პედაგოგები
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია

რჩეულთა შორის რჩეული

"ვერა გავუგე სიკვდილსა,
ვერ ჩაწვდა ჩემი გონება,
შიგ ამოარჩევს ლამაზსა,
რომელიც მოეწონება"...

ეს კუთხური გამოთქმა მთლიანად ესადაგება ბაილეთის საჯარო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლის მარიამ ჩხარტიშვილის ხანმოკლე, მაგრამ ლამაზად განვლილ ცხოვრებას.

იგი მართლაც ლამაზი ბავშვი იყო. ლამაზი არამარტო გარეგნული შესახედაობით, არამედ შინაგანი სულიერი სამყაროთი, - სითბოთი, სიკეთის თესვით, უფროსისა და უმცროსის სიყვარულით, უფრო სწორად ულამაზესი, რჩეულთა შორის რჩეული... სწორედ ცხოვრების ამ მოკლე გზაზე შემოალამდა მას...

არსებობს ბრძნული გამოთქმა: „საქმემან შენმა გამოგაჩინოს შენ“... მუხედავად იმისა, რომ იგი ჯერ კიდევ ყმაწვილი იყო - 12 წლისა, საოცრად საქმიანი იყო, ჭკვიანი, ყველანაირი ადამიანური თვისებით დაჯილდოებული. გამორჩეული იყო სიმღერაში, ცეკვაში, მხატვრულ კითხვაში და რაც მთავარია, სწავლაში.

იგი ისეთ შრომისმოყვარე ოჯახში იზრდებოდა, არც შეიძლება სხვანაირი ყოფილიყო.

არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ გლოვობს მთელი სოფელი; მან დაგვიტოვა დიდი სიყვარული და გულის ტკივილი... ამ უმანკო გოგონას სახელი დიდხანს დარჩება ჩვენს მეხსიერებაში.

ბაილეთელ მშრომელთა სახელით,
ამირან მამულაიშვილი

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს ბაილეთის საჯარო სკოლის უსაზღვრო ტკივილის, სანიმუშო მოსწავლის **მარიამ ჩხარტიშვილის** გარდაცვალების გამო.

საქართველოს შსს-ის პენსიონერთა და ინვალიდთა კავშირი „აბჯარი“ -ს გურიის რეგიონული ორგანიზაცია იუწყება სამხედრო ვეტერან **გივი პაპიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

იყიდება

72 კვ.მ ფართის მეტალის მილებისაგან შედგენილი კარკასი. ფასი შეთანხმებით.
დაგვიკავშირდით: 593 38 29 00.

სკანვორდი



№ 15-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — მუხრან მაჭავარიანი, სამეფო კობრა — ჰამადრიადი, ცივი იარაღი — დანა, სოფელი სვანეთში — უშგული, მოკლე ნაბადი — გებადა, ქალაქი გერმანიაში — ჰამბურგი, თეატრალური ტერმინი — ანშლაგი, ქალის სახელი — ლია, უახლესი — ახალთახალი, ერთნიშნა რიცხვი — ორი, ვიწრო ქუჩა — შუკა, მწერალი — აკა მორჩილაძე, ეგვიპტის მეფე — ფარაონი, სააგენტო — იფრინდა, გრძელი ორმო — არხი, ციხესიმაგრე აჭარაში — ხიხანი, ნაცვალსახელი — იგი, უფარფლო ქუდი — ბერეტი, სოფელი ზუგდიდის რაიონში — ორული, ქართველი თურქულად —გურჯი, მწერალი ჟიულ — ვერნი, გაზაფხულის ყვავილი — ია, ქიმიური ელემენტი — კალა, ფანასკერტელი — ზაზა, ნახვრეტიანი გრძელი რკინა ან პლასტმასი — მილი, გერმანული საფეხბურთო კლუბი — კაიზერსლაუტერნი, გრამატიკული კავშირი — და, კიმკიმა — ლავიწი, ტარაბუა — რეტი, მცირე სკამლოგინი — საკარცხული, კოცონი — ლამპარი, ყროყინა ცხოველი — ვირი, ბანქო — კარტი, პატარა ხევი — ოლე, უძველესი სახელმწიფო კავკასიაში — ურარტუ, ქრისტეს გამყიდველი — იუდა, დერეფანი, გალერეა — ტალანი, ცეცხლის ენა — ალი, შვეიცარიის დედაქალაქი — ბერნი.

ქალაქი ოზურგეთი

სატახტო ვარდანისძე გურიელებისა

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ გაზეთი „ალიონი“ №1-8,11,15

რუბრიკას უძღვება მანანა მემარნიშვილი
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის სამუზეუმო საქმის სპეციალისტი

ლევან დადიანი

დონ ქრისტიფორე დე კასტელი: "სამეფო ყმა ვეზირი, ჩვენი მთავრის ოჯახის პატრონების შემლახველი, ღალატს ამზადებდა რაკი პაატა წულუკიამ შეგნებულად ჩაიდინა ეს ცოდვა, ამიტომ დადიანმა ჯალათს უბრძანა წამების ახალი სახეობის გამოყენება: რაღაც საიდუმლო ცეცხლით ვაზნაში მოათავსებინა დამნაშავე, ქვემეხით ჰაერში ააფეთქა და სისხლი და ხორცი ერთად გარია."

ვახუშტი ბატონიშვილი: "შთაადვა ზარბაზანს შინა და განტყორცნა, და დაიფანტნენ სრულად."

პაატა წულუკიას აფეთქების "შემდგომ, თითქმის ყველა კოლხელმა იარაღი აისხა სიმონ გურიელის საწინააღმდეგოდ ყველაფერი მეფის (ლევან დადიანის.) ბრძანებას ემორჩილებოდა.. ქვემეხის გასროლით სამეგრელოს ლაშქარს გასვლის ნიშანი მიეცა, პირველად ცხენოსანი ჯარი დაიძრა და თანახმად განკარგულებისა, სიკვდილის დასჯის შიშით, ყველა ჯარს გაჰყვა. (ოდიშარნი) აღმოსავლეთის მზის, გურიის მიდამოს მიადგნენ... როცა მეომრები გურიის მინდვრებს მიადგნენ, დადიანმა ბრძანა, რომ ყველაფრისათვის ცეცხლი წაეკიდებინათ და გაეძარცვათ იმ მხარის სახლები და მამულები. გაფანტულად მიადწიეს სიმონის საჯდომ ქალაქს, რომელსაც, ოზურგეთს უწოდებდნენ231."

სიმონ გურიელი ერთგული ლაშქრით დაუხვდა ცოლისძმას, "ამ დროს სიმონმა, - აღნიშნავს კასტელი, - დიდი ჯარი შემოყარა და დამუქრებული, მტერთან პირისპირ შესახვედრათ და მის გასანადგურებლად გაემართა"

ოზურგეთთან გამართულ ხმალთა კეთებაში სადაც "ორგნითვე მოსწყდა ურიცხვი" დადიანის გამარჯვებას პირი მაინც არ უჩანდა, ვიდრე ძმათა მკვლელი ბრძოლის ველზე სიმონ გურიელის ღვიძლი ბიძა მალაქია გურიელი არ გამოჩნდა და შემწედ არ ეყო ლევან დადიანს.

კასტელი წერს: "მალაქია უამრავი ჯარით მოვიდა საშველად. ის ხომ ყოველთვის ღვიძლი ნათესავის დასაცავად იბრძოდა. ახლაც შეიძლება მართლაც შურის საძიებლად მოდიოდა თავისი ძმის მტერზე, ან კიდევ თავისი ძმის გამეფების განზრახვა ჰქონდა, ან სხვა რამ მიზნით, ეს მე არ ვიცი, ღვიძლი ძმის მოღაშვილის იარაღი დადიანის სასარგებლოდ გამოიყენა. მსგავსად მოიქცა თითქმის სხვა წარჩინებული. მრავალმა თავადმაც მას მიჰბაძა. აქ (ამ გაუგონარი ღალატით ეგ.) აღმოიფხვრა კოლხური სული და მთლად დააქცია ქვეყანა."

მალაქია გურიელის მხედრები ოზურგეთთან გარს შემოერტყნენ ჯარის იმ ნაწილს, რომელიც სიმონის სიცოცხლეს იცავდა, იგი შეიპყრეს და დადიანს დაუმორჩილეს." აქ მოხდა სიმონ გურიელის შეპყრობა და ლევან დადიანთან მიგვრა. აქვე დატყვევებული მთავრის თანდასწრეითა და ადგილობრივი მოსახლეობის გულის მოგების მიზნით ლევან დადიანი გაოქროპირდა. ოქროპირად ქცეულმა დადიანმა მოსახლეობას სიტყვით მიმართა ოზურგეთის კედლებთან." უკეთილშობილნაო მეტად გამბედავო უწარჩინებულესნო, თქვენ ემორჩილებით დადიანს, უნდა იცოდეთ თქვენი დამზობისა და დარბევის მიზნით კი არ მოვედი, არც იმისათვის რომ გავუწყრე ძვირფასს და კეთილისმყოფელ ჩემს მეგობრებს, არამედ მხოლოდ, ჩემს მოღალატე მთავარზე საომრად, რადგან ნება არ მქონდა დაუსჯელი დამეტოვებინა მძიმე, შეურაცყოფელი მისი ვერაგობა... გურიელს ჩემი მოკვლა სურდა და ახლა აშკარად ხედავთ, თუ რომ მე დამკარგავდით, თავიდან ვერ აიცდენდით დიდ გაწბილებას და ხომ იცით, არა მხოლოდ მე მომიმზადა ღალატი, არამედ საკუთარი შობელი მამაც არ დაინდო, რათა მის შემდეგ მალე გამეფებულიყო. იგი ნებაყოფლობით მამის მკვლელი გახდა."

აღმართის მხვნელი ძალის წინაშე ქედი დაადრიკეს დამარცხებულთა. საკუთარი შვილების ფაქტიური მკვლელი, ძალუა დარეჯანზე დაქორწინებულ სიმონ გურიელზე გამარჯვების შემდეგ სიწმინდის ორნამენტად იქცა ლევან დადიანი. "გამარჯვებულს არ ასამართლებენო" და გამარჯვებულმა ლევან დადიანმაც თვითონვე განაჩინა სიმონ გურიელის მიმართ სამართალი.

"თავის წინაშე მოაყვანინა უბედური სიმონი და იქ მდგომთ უბრძანა, რომ ახლავე გავარვარებული წვეტიანი შამფურით თვალები დაეთხარათ. და როცა დაბრმავა იგი სამეფოდან გააძევა"

არქანჯელკო ლიმბერტი "სიმონ გურიელის ხვედრის შესახებ მოგვითხრობს: ლევან დადიანმა "ღირსეული სასჯელი მიაყენა (სიმონ გურიელს) დასთხარა თვალი, წაართვა ცოლი, შვილი და სამთავროც. მისი სამთავრო დადიანმა გადასცა გურიელის ბიძას მალაქიას. გურიელი ღირსი იყო ასეთი საშინელი სასჯელისა, იმიტომ კი არა, რომ შეთქმულება მოახდინა დადიანის წინააღმდეგ, არამედ უფრო იმიტომ, რომ თავისი მამის წინააღმდეგ საშინელი სისასტიკე გამოიჩინა. თვითონ რომ მთავრად გამხდარიყო, იმისათვის სიყმაწვილეში თავისი მამა მოჰკლა. ამგვარად ღვთის განგებამ არ ინება, რომ ასეთი მისი ბოროტება დაუსჯელად დარჩენილიყო, და მან ერთად დაჰკარგა სამთავრო, ცოლო, ერთადერთი შვილი, თვალთა ხედვა და თავისუფლებაც."

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით "ფიცხელი სასტიკი ბრძოლის შემდგომ იძლია გურიელი სვიმონ და მოართვეს ლევან დადიანსა. მაშინ ლევან დადიანმა აღმოხადნა თვალნი სვიმონს".

"დღეს ლევან დადიანად წოდებული სამეგრელოს მთავარი, - აღნიშნავს დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანეზე, - ყველაზე ძლიერია. მან დაიმორჩილა და მოხარკედ გაიხადა (იმერეთის სამეფო ეგ.) მეფე ბაში აჩუკი, მთავარი გურიელი, აფხაზეთის მთავარი, სიმონ გურიელი. მიუხედავად იმისა, რომ მისი ნათესავი იყო, ბრძოლაში დაატყვევა, სამეფო მისი მიატოვა, თვალები დასთხარა და ამ მთავრის მეუღლე, დადიანის და (მარიამი) ძალად შერთო ცოლად ქრისტიან როსტომ ხანს, შემდეგ გამაჰმადიანებულს, რომელიც მორჩილებს სპარსეთის ხელმწიფეს."

მარიამ დედოფალსა და როსტომ ხანის ქორწილს ლაშქრობის ელფერი დაჰკრავდა. ვახუშტი მოგვითხრობს: ლევან დადიანმან მიუთხრა სიმონს: "ვინაიდან მოჰკალი მამა შენი, არღარა მნებას მოყვრობა შენი, მომეც დაი ჩემი..."

ამის შემდგომ, როდესაც სიმონ გურიელს სამთავრო დაუქცეს, სატახტო მოუოხრეს, თვალი აღმოხადეს და ცოლი წარგვარეს, "ინება როსტომ ქართველთა მეფემან ზახლობა ლევან დადიანისა და მოითხოვა დაი მისი მარიამ ცოლად, ქვრივი სიმონ გურიელისა. მისცა და დიანმან, არამედ აქუნდა შიში გზას ზედა გიორგი (იმერთა მეფე) მეფისა. ამისათვის შეითქვნენ და მოვიდა როსტომ მეფე ფერსათა ზედა და დადიანმან შემოიკრიბა სპანი დიდნი, წამოიყვანა დაი თვისი მარიამ, გამოვლო სამიქელო, ფოკე და განვიდა რიონს, შევლო და მივიდა კაკას ხიდზე ზედა. მუნ დახუდა როსტომ მეფე, მისცა დაი თვისი დიდებითა და წარვიდა როსტომ."

ფიზიკურად, ქონებრივად და სულიერად განადგურებული სიმონ გურიელი, ჯერ თურქეთის სულთანთან წასულა ავჯა-ვედრებისათვის ხოლო შემდგომ იერუსალიმში ქართველთა სულიერ სავანეში გადასახლებულა და ორთავე თვალდაშრეტილს იქ დაუსრულებია სიცოცხლე.

"სიმონი, - გვაუწყებს კასტელი, - სასწრაფოდ წავიდა კონსტანტინოპოლში, იგი თურქეთის სულტანთან მიიყვანეს, ვისთანაც იგი საშინლად ჩაიდო თავის დაქცევის შესახებ, მაგრამ ამოდ, დადიანის წინააღმდეგ თავის საჩივარი წინ ვერ წასწია. გადაწყვიტა გადასახლებულიყო იერუსალიმში, სადაც ჩავიდა კიდეც და იქ ბერად აღიკვეცა, უკანასკნელი სიცოცხლე იქ დაასრულა."



ლევან დადიანის სასახლე

სიმონ გურიელზე გამარჯვებულმა დადიანმა, მოლაპარაკება გამართა ძმის შვილის მოსისხლე მალაქის გურიელთან, სიმონ გურიელის მიერ სარეცელში განგმირულ მამია გურიელის ძმასთან მოლაპარაკება, რომელიც დადიანის მომავალ დიქტატს განასახიერებდა გურიის სამთავროზე დონ ქრისტიფორე დე კასტელის ცნობათა ანალიზიდან გამომდინარე ოზურგეთში უნდა წარმართულიყო. კასტელი აღნიშნავს: "რაც შეეხება დადიანს, მან გურია რომ დაიმორჩილა, გურიის სამფლობელო სიმონის ძმას (უნდა იყოს "ბიძას" ეგ.) მალაქია პატრიარქს ჩაბარა და გადაწყვიტა მისგან მიეღო ხოლმე ხარკი. მალაქიასთან მოლაპარაკების შემდეგ დაბრუნდა კოლხეთში თავისი დის სახლში. აქ მიიღო სიმონის სამეფო საუნჯე, ის გულუხვად გაუყო თავის ჯარისკაცებს და დასაჩუქრებულნი შინ გაისტუმრა"

1639 წელს, როდესაც ძმის შვილის მოღალატე, თიეთინელი პატრების სასოება, მათი მცველი, მათი ფარი და მახვილი მალაქია გურიელი ავადმყოფობამ შეიპყრო და 62 წლის ასაკში სული განუტევა, ლევან დადიანმა მეორედ დალაშქრა გურიის მხარე. მისი ლაშქარი კვლავ ქვეყნის სატახტოში გაჩნდა და კიდევ ერთხელ გაძარცვა და იავარჰყო იგი. დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანეზე აღნიშნულის შესახებ გადმოგვცემს: "დადიანმა როდესაც თავისი მტერი სიმონ ხანი დაამარცხა ბრძოლაში, ტყვედ ჩაიგდო თვალები დასთხარა და გურიის სამთავროდან განდევნა. სიმონის ბიძა გურიის მთავარი მალაქია, ამ მხარის მთავრად და პატრიარქად დაადგინა. როდესაც შეიტყო მისი გარდაცვალება, იმის გამო, რომ სამფლობელო არ დამეკარგოსო, სასწრაფოდ იქ გაჩნდა თავისი ჯარით, ისე რომ ვერავინ შეძლო მისთვის წინააღმდეგობის გაწევა.

ეროვერ გოგუაძე

სულთათანა

მურმან ნაცვალაძის გახსენება



ერთი წელი გავიდა, რაც მარადიულ სასუფეველში გადაინაცვლე...

მოგონებებში ცოცხლდება შენს მიერ განვლილი გზა შენეული ცხოვრების წესით, ადამიანებთან გამორჩეული ურთიერთობებით, სულიერი სიმდიდრითა და კაცთმოყვარეობით.

დასანანია, რომ აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობის პერიოდში შეწყდა შენი მაჯისცემა.

ცხოვრება გრძელდება. მართალია, ძალიან გვიჭირს უშენოდ, მაგრამ უფალი მოგვცემს ძალას და ენერგიას გავუფრთხილდეთ შენს სახელს, ჩრდილი არ მივაყენოთ მას და უფლის მიერ დადგენილი წესებით განვვლოთ ცხოვრების გზა ისე, რომ პირნათლად შეგხვდეთ ზეციურ საქართველოში.

ოჯახი

მძლეოსნობა

14-15 აპრილს ქ. თბილისში მძლეოსნობის სასახლემ აფხაზეთის ღია პირველობას უმასპინძლა, რომელშიც საქართველოს რეგიონებიდან 10 გუნდი იღებდა მონაწილეობას. მათ შორის ოზურგეთის მძლეოსანთა ნაკრები. შეჯიბრება სხვადასხვა დისტანციაზე 100-300-800 და ტექნიკურ სახეობებში ჩატარდა; ბირთვის კვრის, სიგრძეზე და ჭოკით ხტომაში. ასაკობრივად დიდები და პატარები გაყოფილი არ იყვნენ. წარმატებით იასპარეზეს და ფინალში მოხვდნენ: მიშიკო მახარაძე 100მ რბენაში, ლაშა ტულუში და დავით ტულუში სიგრძეზე ხტომაში . ხოლო მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა ამირან თავართქილაძემ 300მ რბენაში – შედეგით 58,7. გუნდი შეჯიბრებისათვის მოამზადა მარინე კოტრიკაძემ.

თელავის ღია ჩემპიონატი ტაეკვანდოში

ამ დღეებში, ქ. თელავში ჩატარდა თელავის ღია პირველობა ტაეკვანდოში სხვადასხვა ასაკში, სადაც მონაწილეობდნენ თელავის, მცხეთის, კასპის, ოზურგეთის, მარნეულისა და თბილისის გუნდები. სულ 120 სპორტსმენი.

ოზურგეთელთაგან ჩემპიონები გახდნენ: 25-30 კგ. წონით კატეგორიაში ექვსწლამდელთა შორის ლუკა ბოლქვაძე; 30-35 კგ. წონით კატეგორიაში 8-წლამდელთა შორის -ცოტნე სირაძე; 15 წლამდელთა შორის 50-55 კგ. წონით კატეგორიაში მე-2 ადგილი მარიამ მაჭარაშვილმა დაიკავა. (მწვრთნელი ირაკლი ტულუში).

უახლოეს ხანში ქ. ოზურგეთში გაიმართება რეგიონის ღია ჩემპიონატი ტაეკვანდოში.

ეწვიეთ მაღაზია „ლილიას“

ქ. ოზურგეთის ცენტრში, ავტოსადგურთან ახლოს გაიხსნა მაღაზია-სალონი „ლილია.“ აქ არის ყვავილების სალონი, შეგიძლიათ შეიძინოთ ორიგინალური საჩუქრები, საქსოვი ძაფები, ბისერები, მძივები, ღილები და ა.შ

ეწვიეთ „ლილიას,“ კმაყოფილნი დარჩებით!

მისამართი: ქ. ოზურგეთი, აპ. წულაძის . №5

(რ)

ოზურგეთში ჭადრების ბაღში, პროფესიული განათლების ფესტივალი გაიმართა

ღონისძიებას დაესწრნენ გურიის გუბერნატორი მერაბ ჭანუყვაძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია, საკრებულოს წევრები და მოქალაქეები დაესწრნენ.

პროფესიული განათლების ფესტივალი 19 აპრილს საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში გაიმართა.

ფესტივალზე მისულ სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ ინფორმაცია ყველა იმ პროფესიაზე, რომლის დაუფლებასაც კოლეჯი „ჰორიზონტი“ სწავლის მსურველებს სთავაზობს. ასევე, მოეწყო სტუდენტების ნამუშევრების გამოფენა. ფესტივალი პროფესიული კოლეჯ „ჰორიზონტის” ორგანიზებით ჩატარდა.

გურიის ოფროუდის კლუბის პირველი წარმატება

ალიონი. 12 აპრილს, ქ. ოზურგეთში გურიის ოფროუდის კლუბი შეიქმნა, რომლის პრეზიდენტად ემზარ ანთაძე აირჩიეს.

გურულმა ოფროუდისტებმა, რომლებმაც გომისმთის ტურნირზე გამოსვლებით დაგვამახსოვრეს თავი, 14 აპრილს აჭარის ოფროუდის ფედერაციია ღია ჩემპიონატში მიიღეს მონაწილეობა და პირველ წარმატებსაც მიაღწიეს.

მოდიფიცირებული ჯიპებით გამოსვლაში ოზურგეთელებმა მე-2 შედეგი აჩვენეს(მძღოლი შალვა ჯაბუა, შტურმანი ემზარ ანთაძე);

სტანდარტულ მანქანებშიც ოზურგეთელები მე-2 იყვნენ (მძღოლი ბესიკ გოგოტიშვილი, შტურმანი მიშა ანთაძე).

გაზეთ „ალიონთან“ გურიის ოფროუდის კლუბის თავმჯდომარე ემზარ ანთაძემ კარგი შეფასება მისცა ოზურგეთელთა პირველ ნაბიჯს:

–დაფუძნებიდან 2 დღეში პირველ ტურნირზე კარგად გამოვედით. 2 თასი, 3 მედალი, 3 დიპლომი და 900 ლარი ფულადი ჯილდო გადმოგვცეს.

–თქვენი თვითნაკეთი ავტომობილი „BUBU“ თუ მონაწილეობდა ჩემპიონატში?

- „BUBU“გამონაკლისის სახით დაუშვეს. ისე, ახალ „BUBU“-ს ვქმნი, რომელიც ჯიპის მოდიფიკაცია იქნება. სავარაუდოდ ახალი „BUBU“ აგვისტოდან ჩაებმება ჩემპიონატებში –გვითხრა ემზარ ანთაძემ.

მხატვარი გოგონას ერთობ შთამბეჭდავი გამოფენა

ნუკრი ნიკოლაიშვილი

მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრმა მხატვარ ეკატერინე ოსტროვსკის პერსონალურ გამოფენას უმასპინძლა.

ავტორისეული ინიციატივით მოწყობილ ორიგინალურ გამოფენაზე 32 ფერწერული ტილო და ათიოდე კერამიკული ნამუშევარი იყო წარმოდგენილი.

გამოფენაზე მრავლად მოსულ ხელოვნების მოყვარულთა თვალსაზრისით, ფრიად სიმბოლურია, რომ აღნიშნული ექსპოზიცია ნააღდგომევს გაიმართა. ისიც ერთობ სიმპტომატურია, რომ წარმოდგენილ კომპოზიციებში სჭარბობს დღევანდელობის ამსახველი ოპტიმისტური, თუმცა აბსტრაქტული თემატიკა.

მხატვრისეული ბიოგრაფიიდან უაღრესად საინტერესოა არაერთი საგულისხმო მომენტი: სწავლობდა ოზურგეთის წმინდა ნინოს სახელობის სასულიერო გიმნაზიაში;

დაამთავრა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა ხელოვნების ფაკულტეტის სახვითი და გამოყენებითი ცენტრის მონუმენტური მოხატვის კერამიკისა და მხატვრული მინის დიზაინის სპეციალობა;

მონაწილეობდა სხვადასხვა ვორქშოფებსა და გამოფენებში:

იტალიაში გამართულ ოთხი მხატვრის ფერწერულ გამოფენაში (ფლორენციის რეგიონის კალჩინაიას რომაულ ბიბლიოთეკაში);

პირველი ადგილი მიეკუთვნა ვორქშოფში „ჩანახატები ფილატიელაში“ (იტალია);

2015 წელს მონაწილეობდა ჯგუფურ გამოფენაში ილიას უნივერსიტეტის საგამოფენო დარბაზში;

2013 წელს მონაწილეობდა „თიბისი ბანკის გალერეაში მოწყობილ პროექტში „ჩემი ფუნიკულიორი";

2013 წელს ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოწყობილ სტუდენტურ გამოფენაში.

ეკატერინე უკვე ორი შვილის ბედნიერი დედაა.

აქ ისიც უსათუოდ უნდა ითქვას, რომ ეკას მამა ტარიელ ოსტროვსკი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლას შეეწირა და მის ნათელ ხსოვნას მადლიერმა თანამემამულეებმა იმდღევანდელ შეხვედრაზე წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი.

როგორც ხაზგასმით აღინიშნა, ავტორისეულ ნამუშევრებში აბსტრაქტული თემატიკა აჭარბობდა.

ბევრი ნამუშევარი გობელენშია შესრულებული, რაც მხატვრის შემოქმედებით გაბედულებაზე მეტყველებს.

იმდღევანდელ გამოფენაზე შეკრებილთ თავიანთი მიუკერძოებელი შთაბეჭდილებანი გააცნეს მერაბ ბერძენიშვილის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელივნების ცენტრის დირექტორმა ავთანდილ თავართქილაძემ, ხელოვნებათმცოდნე ლია ურუშაძემ, მხატვარმა ვახტანგ მამეიშვილმა, გურიის მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ თამაზ დარჩიამ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის განყოფილების უფროსმა მარინა ჯაფარიძემ და სხვებმა.

ვულოცავთ!

ჩვენს მეგობარ ნინელი ჯაღანდაძეს ვულოცავთ მეოხე შვილიშვილის, ნიკოლოზ ქილიფთარის დაბადებას. გაგეზარდოთ ღირსეული, სასახელო მამულიშვილი.

ალიონელი მეგობრები

7 დღის ამინდის პროგნოზი

23 აპრილი, ორშაბათი	24 აპრილი, სამშაბათი	25 აპრილი, ოთხშაბათი	26 აპრილი, ხუთშაბათი	27 აპრილი-პარასკევი	28 აპრილი, შაბათი	29 აპრილი, კვირა
მზე ღრუბელი +5+14	მზე ღრუბელი +9+19	მზე +9+23	მზე +11+22	მზე ღრუბელი +13+22	ღრუბელი +7+15	წვიმა +3+10